

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგება

წარმოდგენილი დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიშებთან ერთად
წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში.....	3
ფინანსური ანგარიშგებები	
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფინანსური პოზიციის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით (ლარებში)	6
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის (ლარებში)	7
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კაპიტალის ცვლილების ანგარიში წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა (ლარებში)	8
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ლარებში).....	9
ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძველი	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა.....	16
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	24
5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი.....	26
6. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	26
7. გადასახადები.....	27
8. სხვა ვალდებულებები.....	28
9. ნასესხები სახსრები.....	29
10. საწესდებო კაპიტალი	29
12. ფინანსური სერვისები.....	292
13. გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები	30
14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	30
15. პირობითი ვალდებულებები	30
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	31
17. კაპიტალის მართვა.....	35
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

წარდგენილი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის მეწილეებისა და მენეჯმენტისათვის

კვალიფიციური მოსაზრება

შევისწავლეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის (შემდგომში, ორგანიზაცია), რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით შემუშავებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშებისა და მითითებულ დროს დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის, კაპიტალსა და ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებების შესახებ ანგარიშებისაგან, ფინანსური ანგარიშგების კომენტარებისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერისაგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის კვალიფიცირებული მოსაზრების დასაბუთების ნაწილში მითითებული გარემოებების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშები, მატერიალური თვალსაზრისით, სწორად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაში ასახულ ცვლილებებს წლისათვის, რომელიც მითითებულ დროს დასრულდა და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS - ფასს).

კვალიფიცირებული მოსაზრების დასაბუთება

რიგ შემთხვევებში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ იყო გამოყენებული იმ მომხმარებლების მიმართ, რომელთაც 2017 წლისათვის ვადაგადაცილებული სესხები ჰქონდათ. ნაცვლად ამისა, სარგებლის დარიცხვისას გამოიყენებოდა სესხის დაბრუნების თავდაპირველი განრიგი, რაც IFRS - ფასს-ის ნორმებისაგან გადახრას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ვერ შევძელით დაგვედგინა, რამდენად აუცილებელია კლიენტებზე გაცემული სესხების, შემოსავლისა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ელემენტების კორექტირება.

როგორც შენიშვნა 9-შია მითითებული, ორგანიზაციამ, საერთო კონტროლის ქვეშ მიიღო სესხი დაკავშირებული მხარეებისაგან. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის, ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული სესხის რაოდენობა, შესაბამისად, შეადგენს 58 465 477 ლარსა და 24 786 856 ლარს. ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, თუ რამდენად შესაბამისი ღირებულებით აისახა აღნიშნული თანხები შესაბამისად, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის. აქედან გამომდინარე, ვერ დავადგინეთ, თუ რამდენადაა საჭირო ამ სესხებისა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ელემენტების კორექტირება. ორგანიზაციას არ წარუდგენია კლიენტებზე გაცემული, ვადაგადაცილებული, თუმცა მოქმედი სესხების დამველების ანალიზი, რაც IFRS - ფასს-ის ნორმებისაგან გადახრას წარმოადგენს.

ჩვენი აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs). ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი ვალდებულებები ამ ანგარიშის აუდიტსა და ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებული აუდიტორის ვალდებულებების ნაწილშია წარმოდგენილი. საერთაშორისო ბუღალტრული ეთიკური სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA-ს კოდექსი) და საქართველოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების თანახმად, ჩვენ წარმოვადგენთ ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელ ერთეულს და შევასრულეთ ამ მოთხოვნებისა და IESBA-ს კოდექსის შესაბამისი სხვა ეთიკური ვალდებულებები.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება საკმარისია და შეესაბამება კვალიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტისა და მმართველობითი ფუნქციების მქონე პირების პასუხისმგებლობის საკითხი

მენეჯმენტი პასუხს აგებს ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სწორად წარდგენაზე IFRS - ფასს-ის ნორმების შესაბამისად, ამ მიზნისათვის მენეჯმენტის მიერ არსებითად მცდარი ინფორმაციის, მათ შორის, თაღლითობისა და შეცდომისაგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშების მომზადებისას აუცილებელია შიდა კონტროლის მექანიზმი.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს საწარმოს ფუნქციონირების უნარი, საჭიროებისამებრ, გაგვიზიაროს, ორგანიზაციასთან, როგორც ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული ინფორმაცია და ბუღალტრული საქმიანობის წარმოებისას სწორედ ამ პრინციპით იხელმძღვანელოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს სურს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან აღნიშნულის გარდა სხვა რეალისტური ალტერნატივა არ გააჩნია.

მმართველობითი უფლებამოსილების მქონე პირები პასუხს აგებენ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული დასაბუთების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები თავისუფალია, მათ შორის თაღლითობითა და შეცდომით გამოწვეული, არსებითად მცდარი ინფორმაციისგან და გაცვით აუდიტორის ანგარიში, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრულ დასაბუთებას წარმოადგენს მაღალი დონის დასაბუთება, თუმცა ეს არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებითად მცდარ ინფორმაციას, თუ ასეთი არსებობს.

არსებითად მცდარი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშში შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, ინფორმაცია, ფინანსური ანგარიშის გაცნობის შემთხვევაში, ზეგავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაზე.

ISA-ს სტანდარტებით ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ შეფასებასა და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეფსის აუდიტის პროცესის ფარგლებში. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული, არსებითად მცდარი ინფორმაციის არსებობის რისკების გამოვლენასა და შეფასებას, ვაყალიბებთ და ვატარებთ აუდიტორულ ზომებს, რომლებიც ამ რისკებზეა მორგებული და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული, არსებითად მცდარი ინფორმაციის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომით გამოწვეულ, არსებითად მცდარი ინფორმაციის ვერ შემჩნევის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს პირთა შეთქმულებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორ წარმოდგენას, ან თაღლითობის შედეგად შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული შიდა კონტროლი.
- ვსწავლობთ აუდიტისათვის რელევანტური შიდა კონტროლის არსს, რათა განვსაზღვროთ გარემოების შესაფერისი აუდიტორული ღონისძიებები, თუმცა ამ

პროცესში მიზნად არ ვისახავთ ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმის ეფექტურობასთან დაკავშირებით ჩვენი აზრის გამოთქმას.

- შევავსოთ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა, ბუღალტრული კალკულაციის გონივრულობა და მენეჯმენტის მიერ ამასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია.
 - მივიღოთ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწორად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპს ბუღალტრული აქტივობებში და აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, განვსაზღვროთ არსებითად მცდარი ინფორმაციის არსებობა იმ საკითხებთან და პირობებთან მიმართებაში, რომელთაც შეუძლიათ შექმნან საფუძვლიანი ეჭვი ორგანიზაციის საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ დადგინდება არსებითად მცდარი ინფორმაციის არსებობის ფაქტი, ჩვენ მოგვეთხოვება აუდიტორულ ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, ხოლო თუ ინფორმაციის გამჟღავნება არ იქნება მიზანშეწონილი, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ანგარიშში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მომავალში, გარკვეული მოვლენებისა თუ გარემოებების შექმნის შედეგად ორგანიზაციამ შეიძლება ვეღარ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება.
 - შევავსოთ იმ ფინანსური ანგარიშების ზოგადი წარდგენა, სტრუქტურა და შინაარსი, რომლებშიც მოცემულია ტრანზაქციები და ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო შესაბამის ანგარიშებს და უზრუნველყოფს მათ სისწორეს.
 - მოვიპოვოთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება ორგანიზაციაში პირებისა თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსური ანგარიშების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ აუდიტის ჩატარების მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ აუდიტორული მოსაზრების სისწორით. ჩვენ კონტაქტს ვინარჩუნებთ მხოლოდ მმართველობითი ფუნქციების მქონე პირებთან, მათ შორის, აუდიტის დაგეგმილ ფარგლებსა და დროსთან, აუდიტორული შემოწმების დასკვნებთან, მათ შორის, აუდიტის ფარგლებში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებთან დაკავშირებით.
- ჩართული პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია ჩატარებული აუდიტის შედეგად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშზე - ივანე ჟუჟუაშვილი.

ივანე ჟუჟუაშვილი

შპს BDO-სთვის და მისი სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 15 ივლისი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფინანსური პოზიციის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით (ლარებში)

	შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი	5	1 120 403	964 685
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	69 013 753	22 609 956
სხვა აქტივები		56 008	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	146 518	196 711
აქტივების სრული მოცულობა		70 336 682	23 771 352
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	8	595 193	270 657
გადახდას დაქვემდებარებული გადასახადები		400 928	-
მიღებული სესხები	9	58 465 477	24 786 856
ვალდებულებების სრული მოცულობა		59 461 598	25 057 513
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	250 000	250 000
დაგროვებული შემოსავალი/(დანაკარგი)		10 625 084	(1 536 161)
კაპიტალის სრული მოცულობა		10 875 084	(1 286 161)
ვალდებულებებისა და კაპიტალის სრული მოცულობა		70 336 682	23 771 352

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
 დირექტორი: იოსებ როივენ გრენიკასი
 ფინანსური მენეჯერი: გუჯა ცინცაძე

მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის (ლარებში)

	შენიშვნა	2017	2016
სარგებლის შედეგად მიღებული შემოსავალი		28 669 914	3 831 415
სარგებელთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი		(9 684 411)	(1 106 433)
სარგებლის დარიცხული შემოსავალი მოქმედების პერიოდში		18 985 503	2 724 982
სესხის გაუქმება		-	-
სარგებლის შემოსავალი, დარიცხული		18 985 503	2 724 982
სხვა შემოსავალი	11	3 740 299	71 240
ფინანსური მომსახურება	12	(5 190 656)	(3 781 313)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(2 628 422)	(46 107)
შემოსავალი და დასაქმებულთა სხვა შემოსავალი	14	(3 041 892)	(125 034)
მოგება/(დანაკარგი) გაცვლითი კურსის განსხვავების გამო, დარიცხული		1 655 792	(191 894)
მოგება/(დანაკარგი) მოგების გადასახადამდე		13 520 624	(1 728 126)
მოგების გადასახადის ხარჯი		(1 359 379)	196 711
სრული შემოსავალი		12 161 245	(1 531 415)

მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

*შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კაპიტალის ცვლილების ანგარიში
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა (ლარებში)*

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვებული შემოსავალი (დანაკარგი)	სრულად
2015 წლის 31 დეკემბერი	250 000	(4 746)	245 254
წლის მანძილზე არსებული დანაკარგი, სრულად		(1 531 415)	(1 531 415)
2016 წლის 31 დეკემბერი	250 000	(1 536 161)	(1 286 161)
წლის მანძილზე არსებული შემოსავალი, სრულად	-	12 161 245	12 161 245
2017 წლის 31 დეკემბერი	250 000	10 625 084	10 875 084

*მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური
ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.*

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ლარებში)

	2017	2016
ეკონომიკური საქმიანობის შედეგად ფულადი სახსრების მოძრაობა:		
მოგება/(დანაკარგი) მოგების გადასახდამდე	13 520 624	(1 728 126)
შესწორება:		
მიღებული სარგებლის ცვლილება, დარიცხული	(18 985 503)	(2 724 982)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/(დანაკარგი), დარიცხული	(1 655 792)	191 894
ეკონომიკური საქმიანობის შედეგად ფულადი სახსრების გადინება ოპერაციული აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(7 120 671)	(4 261 214)
ოპერაციული აქტივების ზრდა:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	(35 029 724)	(16 753 066)
სხვა აქტივები	(56 008)	
ოპერაციული ვალდებულებების ზრდა:		
სხვა ვალდებულებები	323 491	271 319
ოპერაციული აქტივობებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება, გადასახადების გადახდამდე	(41 882 912)	(20 742 961)
მიღებული სარგებელი	21 671 099	3 289 409
გადახდილი მოგების გადასახადი	(908 259)	-
ოპერაციული აქტივობებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება, დარიცხული	(21 120 072)	(17 453 552)
საინვესტიციო აქტივობების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, დარიცხული	-	-
ფინანსური აქტივობების შედეგად ფულადი სახსრების მოძრაობა:		
სესხის შედეგად მიღებული სარგებელი	26 920 863	23 871 115
სესხის გადახდა	(5 450 072)	(6 010 167)
ფინანსური აქტივობების შედეგად ფულადი სახსრების შემოძინება, დარიცხული	21 470 791	17 860 948
ფულადი სახსრებისა და ფულად სახსრებთან გათანაბრებული აქტივების ზრდა, დარიცხული	350 718	407 396
პერიოდის დასაწყისისათვის არსებული ფულადი სახსრები და მასთან გათანაბრებული აქტივები	964 685	261 458
გაცვლითი კურსის ცვალებადობის გავლენა უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად სახსრებსა და მასთან გათანაბრებულ აქტივებზე	(195 000)	295 831
წლის ბოლოსათვის ფულადი სახსრებისა და მასთან გათანაბრებული აქტივების რაოდენობა	1 120 403	964 685

მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შემდგომში, ორგანიზაცია), რომელიც 2011 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდა საქართველოში, თბილისის საგადასახადო დეპარტამენტში სარეგისტრაციო ნომრით 404919102. მიუხედავად ამისა, პირველი ტრანზაქცია განხორციელდა 2014 წელს (თანხის შეტანა საწესდებო კაპიტალში), ამავე წელს ორგანიზაცია დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფორმით.

ორგანიზაცია ეკონომიკურ საქმიანობას აწარმოებს მიკროსაფინანსო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (შემდგომში, ეროვნული ბანკი).

მის უმთავრეს ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე სესხების გაცემა (რომელთა უზრუნველყოფის საშუალებას ავტომობილები წარმოადგენს) საქართველოში მყოფ კლიენტებზე.

ორგანიზაციის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. თითოეული დეპარტამენტის ყოველდღიურ საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება მენეჯერის მიერ, რომელიც ინიშნება ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, აღმასრულებელი დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

ორგანიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ჰქონდა 5 ფილიალი საქართველოს დიდ ქალაქებში.

ორგანიზაციის პარტნიორების სია 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მონაცემებით, შემდეგია:

პარტნიორები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
შპს Zuk China Stone Works Limited	75.51%	75.51%
შპს Mody Import & Marketing Ceramics	7.99%	7.99%
იოსებ როივენ გრენიკასი	9,5%	9,5%
ური ზუკი	5%	5%
ეიალ დუენიასი	2%	2%
სრული მონაცემები	100%	100%

მოშე ზუკი 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოადგენდა ორგანიზაციის საკონტროლო პაკეტის მესაკუთრე პარტნიორს. ორგანიზაციის ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში, სააკადის ქუჩა N11, მეორე შესახვევი.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100 000 (ასი ათას) ლარს (50 000 ლარისაგან განსხვავებით, ძველი რეგულაციების თანახმად);
- პირის მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციისათვის მისი განადღებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარზე ნაკლები (ნაცვლად 250 000-სა, ძველი რეგულაციების თანახმად). ეგისტრირებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა განადღებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანამიმდევრობით:
 - ა) არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა – 2018 წლის 1 სექტემბრამდე;
 - ბ) არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა – 2019 წლის 1 ივლისამდე.

განადღებული კაპიტალი მხოლოდ ფულადი ფორმით უნდა იყოს შევსებული.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშები შემუშავდა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების, საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ერთობლივად, IFRS - ფასს) შესაბამისად.

ორგანიზაცია ახდენს დოკუმენტების შენახვასა და ამზადებს ფინანსურ ანგარიშებს ლარში საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების (IFRS - ფასს) შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.

ორგანიზაციის საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშებში მითითებული თანხები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშების მომზადება IFRS - ფასს-სთან შესაბამისად, მოითხოვს კრიტიკულ ბუღალტრულ გაანგარიშებას. მენეჯმენტისაგან ასევე მოითხოვება განსჯა ორგანიზაციის საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას. შენიშვნა 4-ში მოცემულია სფეროები, რომელთა მიმართაც ფინანსური ანგარიშების მომზადებისას საჭირო გახდა მნიშვნელოვანი განსჯისა და გაანგარიშების გამოყენება.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა ისტორიული ღირებულების მეთოდის საფუძველზე.

საადრიცხო პოლიტიკის ცვლილებები

ა) 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაცია და ცვლილებები ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშებზე ზემოქმედებას არ ახდენს 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაცია და სტანდარტების ცვლილებები.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაცია და ცვლილებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა შემდეგი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაცია და ცვლილებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა და წინამდებარე ფინანსური ანგარიშების მომზადებისას არ იყო გათვალისწინებული, ზემოქმედებას მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IFRS - ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან
- IFRS - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები
- IFRS - ფასს 16 იჯარა

IFRS - ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. 2014 წლის მაისში მიღებულ იქნა IFRS - ფასს 15, რომელიც ქმნის ერთ ყოვლისმომცველ მოდელს პირების მიერ ბუღალტრული საქმიანობის პროცესში გამოსაყენებლად იმ ამონაგების მიმართ, რომელიც მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან იქნა მიღებული. IFRS - ფასს 15, ძალაში შესვლის შემდეგ, ჩაანაცვლებს ამჟამად მოქმედ მოგების დადასტურების სახელმძღვანელოს, მათ შორის IAS 18-ს (შემოსავალი) და IAS 11 (სამშენებლო კონტრაქტები) და შესაბამის განმარტებებს.

IFRS - ფასს 15-ის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელოს ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. სტანდარტი აწესებს

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ერთიან, პრინციპებზე დაფუძნებულ ხუთ ნაბიჯიან მოდელს, რომელიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში უნდა იქნეს გამოყენებული:

მოდელის ხუთი ნაბიჯის სია შემდეგია:

- კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
- ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი ვალდებულების მიკუთვნება;
- აღიაროს ამონაგები როდესაც (ან თუ) საწარმო დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას.

IFRS - ფასს 15-ის თანახმად, საწარმომ მაშინ უნდა აღიაროს ამონაგები, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას - ე.ი. როდესაც „კონტროლი“ დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე გადაეცემა მომხმარებელს. უფრო დიდი ყურადღება ეთმობა საკითხებს, მათ შორის იმას, თუ როდის უნდა მოხდეს ამონაგების აღიარება, როგორ უნდა განხორციელდეს ცვალებადი ანაზღაურების შეფასება, ხელშეკრულების შესრულებისა და მიღების და სხვა მსგავს დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე წესდება ამონაგებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების ახალი სტანდარტები.2.

მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა დაშვებულია ადრეული გამოყენება. IFRS - ფასს 15-ის მიმართ გამოყენებული მიდგომის შესაბამისად, საწარმოს სხვადასხვა მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად ან დროთა მანძილზე.

IFRS - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები. IFRS - ფასს 9 მიღებულ იქნა 2009 წლის ნოემბერში. აღნიშნული ინსტრუმენტი აწესებს ფინანსური აქტივობის ახალ კლასიფიკაციასა და მათი შეფასების წესს. IFRS - ფასს 9-ში შევიდა ცვლილებები 2010 წლის ოქტომბერში, რომელთა თანახმადაც განისაზღვრა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შეფასების, ასევე აღიარების შეწყვეტის წესი. ხოლო 2013 წლის ნოემბერში შესული ცვლილებებით დადგინდა ჰეჯირების აღრიცხვის ზოგადი წესის ახალი მოთხოვნები. 2014 წლის ივლისში IASB-ის მიერ მიღებულ იქნა IFRS - ფასს 9-ის საბოლოო რედაქცია, რომელიც ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნებს აწესებს და შეიტანა მცირედი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიცირებისა და შეფასების მოთხოვნებთან დაკავშირებით. IFRS - ფასს 9 მიზნად ისახავს IAS 39-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) ჩანაცვლებას.

IFRS - ფასს 9-ის მთავარი მოთხოვნებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება.** ფინანსური აქტივების კლასიფიცირება უნდა მოხდეს საწარმოს ბიზნეს მოდელზე დაყრდნობით, რომელიც გამოიყენება მათი მართვისთვის და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების მიხედვით. კონკრეტულად, სავალი ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება შესაბამის ბიზნეს მოდელში სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ფასდება მათი ამორტიზებული ღირებულების მიხედვით, მათი აღიარების შემდეგ. IFRS - ფასს 9-ის 2014

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

წლის რედაქციაში ნახსენებია ბიზნეს მოდელში გამოყენებული სავალდებულო ინსტრუმენტების კატეგორია - „სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას“, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოზიდვა და ფინანსური აქტივების გასხვისება, იმის გათვალისწინებით, რომ სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოზიდვაში იგულისხმება მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა. ეს უკანასკნელი იზომება მათი სამართლიანი ღირებულებით, სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში ასახვის გზით, თავდაპირველი შეფასების შემდეგ. ყველა სხვა ინვესტიცია სესხისა და კაპიტალის მიმართ ფასდება მათი სამართლიანი ღირებულების მიხედვით. ამასთან, IFRS - ფასს 9-ის, თანახმად, საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში ასახოს ისეთ წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები, რომლებიც არ წარმოადგენს სავაჭროდ გამოიყენებულ ინსტრუმენტს. ასეთ შემთხვევაში, მან მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს აღნიშნული ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება.** ფინანსური პასუხისმგებლობების კლასიფიკაციისა და შეფასების მიმართ გამოყენებული მეთოდი ჰგავს IAS 39-ით განსაზღვრულ წესს, თუმცა განსხვავება შეინიშნება იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება საწარმოს მიერ საკუთარი კრედიტის რისკების შეფასებას. IFRS - ფასს 9-ის მოთხოვნების თანახმად, ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების ნაწილი, რომელიც მიეკუთვნება აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას, უნდა აისახოს სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღრიცხვა გამოიწვევდა ან გაზრდიდა მოგებაში ან ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამოებს. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის სამართლიანი ღირებულების ცვლილება არ რეკლასიფიცირდება მოგებასა თუ ზარალში.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი უფრო ახლოსაა საწარმოების მიერ რისკის მართვის პრაქტიკასთან, როდესაც საკითხი ფინანსური და არა-ფინანსური რისკთან დაკავშირებულ ჰეჯირებას ეხება. IFRS - ფასს 9-ის თანახმად, დისკრეციის უფრო დიდი საშუალებაა იმ ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში, რომლებიც ჰეჯირების აღრიცხვას ექვემდებარებიან, განსაკუთრებით ფართოვდება იმ ინსტრუმენტთა ჩამონათვალი, რომლებიც ჰეჯირების ინსტრუმენტებად შეიძლება ჩაითვალოს და იზრდება არა-ფინანსურ საგნებთან დაკავშირებული რისკების კომპონენტების ტიპების სია. დამატებით, ეფექტურობის ტესტი ჩანაცვლდა ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპით. ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება ასევე აღარ მოითხოვება. ასევე დაინერგა ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის მაღალი სტანდარტი საწარმოს რისკის მენეჯმენტთან დაკავშირებული აქტივობების შემთხვევაში.
- **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა IAS 39-დან გრძელდება. სტანდარტი ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მისი ადრეული გამოყენება დასაშვებია. IFRS - ფასს 9-ის მიმართ გამოყენებული მიდგომის შესაბამისად, საწარმოს სხვადასხვა მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად ან დროთა მანძილზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- *IFRS - ფასს 16 იჯარა*. 2016 წლის იანვარში IASB-ის მიერ მიღებულ იქნა IFRS - ფასს 16. IFRS - ფასს 16 ანაცვლებს IAS 17-ს (იჯარა); IFRIC 4-ს (შეთანხმებაში იჯარის არსებობის დადგენის შესახებ), SIC 15-ს (ოპერაციული იჯარა - ინსენტივები) და SIC -27-ს (იჯარის სამართლებრივი ფორმის შემცველი ტრანზაქციების შინაარსის შეფასება).

მეიჯარეებისათვის მოქმედი აღრიცხვის მოთხოვნები IAS 17-საგან დიდწილად არ განსხვავდება. ეს ნიშნავს რომ მეიჯარემ თითოეულ იჯარას ან საოპერაციო იჯარის კლასიფიკაცია უნდა მიანიჭოს, ან ფინანსური იჯარის. მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება მოიჯარეებს, IFRS - ფასს 16 ადგენს ერთიან მოდელს მოიჯარეებისათვის და აუქმებს განსხვავებას საოპერაციო იჯარისა და ფინანსური იჯარის კლასებს შორის, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება აისახება თითქმის ყველა იჯარის ხელშეკრულებისათვის. აქტივი აღირიცხება, როგორც საკუთრება, აღჭურვილობა ან საინვესტიციო ქონება, ხოლო ვალდებულების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა საწარმოებმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეიძლება არ ასახონ მოკლევადიანი იჯარა (იჯარა, რომლის ვადა 12 თვე ან ნაკლებია) ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარა.

შედეგად, მთავარი შევითხვა აღარ ეხება იმას, თუ იჯარა საოპერაციოა თუ ფინანსური, არამედ იმას, თუ რამდენად მოიცავს გარიგება იჯარის ელემენტებს. IFRS ფასს 16-ის მასშტაბი ფართოა და გარკვეული გარიგებები, რომლებიც შეეხება აქტივების გამოყენებას და ამდენად, შეიძლება მომსახურების ხელშეკრულებად ჩაითვალოს (რაც აღსრულებადი ხასიათისაა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება), IFRS ფასს 16-ის მიზნებისათვის, შეიძლება იჯარის ხელშეკრულებად ჩაითვალოს. აუცილებელია მნიშვნელოვანი სისტემური და პროცედურული ცვლილებების გატარება ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით.

შემოსავლის ანგარიშგებაში, IFRS ფასს 16-ის გამოყენება გამოიწვევს (საოპერაციო ხარჯებში) ცვეთისა და სარგებლის ხარჯები. თუ ჩავთვლით, რომ ცვეთის ხარჯი სწორხაზოვნად განისაზღვრება, საერთო დანახარჯი იჯარის პირველი ფაზისათვის უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მისი მომდევნო პერიოდებისათვის, რადგან იჯარის ვალდებულება და მასთან დაკავშირებული სარგებლის ხარჯი უფრო მაღალია.

IFRS ფასს 16 ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, თუმცა IFRS ფასს 15-თან ერთად, მისი ადრეული გამოყენებაც დასაშვებია.

IFRS ფასს 15-ის (კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების ამონაგები), IFRS ფასს 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) და IFRS ფასს 16-ის (იჯარა) შედეგი ჯერ კიდევ შეფასების პროცესშია, რადგან ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა აქვთ ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა

უმთავრესი სააღრიცხვო ღონისძიებები, რომლებიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში იქნა გამოყენებული, მოცემულია ქვევით. ეს ღონისძიებები განხილული საანგარიშო წლების მანძილზე განუხრელად გამოიყენებოდა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები IAS 39-ის მიზნებისათვის კლასიფიცირდება როგორც ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, რომლებიც აღრიცხულია მოგებასა ან ზარალში, სესხებსა თუ მისაღებ თანხებში, დაფარვის ვადამდე დაფლულ ინვესტიციებში ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებში. ორგანიზაცია ფინანსური აქტივების კლასს განსაზღვრავს თავდაპირველი ცნობისას.

სამართლიანი ღირებულება, რომელიც მოგებაში ან ზარალშია აღრიცხული

ფინანსური აქტივები აისახება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით, როდესაც აქტივი ან სარეალიზაციოდაა შენახული ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში ასახვად აქტივად სამართლიანი ღირებულებით. მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხელახალი შეფასებით აღმოჩენილი ნებისმიერი დანამატი ან დანაკარგი აისახება როგორც მოგება ან ზარალი.

ორგანიზაციას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივი.

დაფარვის ვადამდე დაფლული ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ე. ან ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება შემენასთან ან გამოცემასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. პირველადი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი.

გასაყიდად გამიზნული აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არაა კლასიფიცირებული და მიიჩნევა გასაყიდად გამიზნულ აქტივებად, რომლებიც, ძირითადად ორგანიზაციის სტრატეგიულ ინვესტიციებს წარმოადგენენ ისეთ საწარმოებში, რომლებიც მის შვილობილებად, პარტნიორებად ან ერთობლივად კონტროლირებად პირებად არ ითვლებიან. ამ კატეგორიაში ერთიანდება ასევე კორპორატიული ფასიანი ქაღალდები. მათი შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილება აისახება სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში და ხელმისაწვდომია გასაყიდად გამიზნულ რეზერვში; გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან განგრძობითი შემცირების შემთხვევაში (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების სრული ღირებულება, მათ შორის სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში ასახული თანხა მიიჩნევა მოგებად ან ზარალად.

გასაყიდად გამიზნული აქტივების შეძენა ან გაყიდვა აღირიცხება ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის; ხოლო სამართლიანი ღირებულების სხვაობა გაყიდვისა და გარიგების განხორციელების თარიღებს შორის აისახება გასაყიდად გამიზნულ რეზერვში. გაყიდვის შემთხვევაში, კუმულატიური მოგება ან ზარალი, რომელიც ასახული სხვა სრულ

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

შემოსავალში რეკლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნული რეზერვიდან მოგებაში ან ზარალში. ორგანიზაციას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ა) აქტივები გამოთხოვილია ან ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებულ უფლებებს სხვაგვარად გაუვიდა ვადა ბ) როცა ორგანიზაციამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და (i) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ii) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი. აქტივზე კონტროლის შენარჩუნებაში იგულისხმება იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარეს არ აქვს აქტივის მესამე მხარისათვის მიყიდვის სრული პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ვალდებულებებზე კლასიფიცირდება ორგანიზაციის გადასახდელები და კლიენტების ანგარიშები. მათი თავდაპირველი შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რაშიც ტრანზაქციის ფასის ნეტო ღირებულება იგულისხმება. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზების ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო საპროცენტო განაკვეთის ხარჯები ეფექტური სარგებლის საფუძველზე დგინდება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებებისა და საპროცენტო განაკვეთის ხარჯის ამორტიზებული ღირებულები გამოთვლის მეთოდს საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელშიც თავდაპირველი შეფასებისას ნარჩენ საბალანსო ღირებულებაში სრულად ითვლება მომავალი ფულადი გადახდები ფინანსური ვალდებულების არსებობის მანძილზე, ან (სადაც ეს შესაძლებელია), უფრო მოკლე პერიოდისათვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაციის ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

(გ) ურთიერთდაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

(დ) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურება გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი აისახება მოგებაში ან დანაკარგში მისი ერთი ან რამდენიმე გარემოების (გარემოება, რომელიც იწვევს ზარალს) დადგომის დროისათვის, თუ ამგვარი მოვლენა დადგა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და თუ მას აქვს გავლენა ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გამოთვლადი მომავალი ფულადი სახსრების მოზიდვის ვადასა ან ზომაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების უმთავრესი მიზეზი ორგანიზაციისათვის არის მისი ვადაგადაცილება და გამოყენებული უზრუნველყოფის ზომის რეალიზება საფრთხის ქვეშა (ასეთი საფრთხის შემთხვევაში). გაუფასურებით გამოწვეული ზარალის სხვა არსებითი მტკიცებულების არსებობის დასადგენად სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმები სია შემდეგნაირად გამოიყურება:

- ნებისმიერი გადახდის ვადა გასულია და დაგვიანებული გადახდა ანგარიშსწორების სისტემის შეფერხებით არაა გამოწვეული
- მსესხებელი განიცდის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, რაც ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით დასტურდება;
- მსესხებელი განიხილავს გადახდისუუნარობის ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- მსესხებლის გადახდის სტატუსი უარყოფითად შეიცვალა, რაც ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მასზე ასახვის შედეგია;
- უზრუნველყოფის ზომის ღირებულება ბაზრის მდგომარეობის სერიოზული გაუარესების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა.

გაუფასურება გამოითვლება რისკებს დაქვემდებარებული აქტივების ანალიზზე და ასახავს შესაბამისი დანაკარგის დასაფარად მენეჯმენტის აზრით საკმარის რაოდენობას. პროვიზია იქმნება რისკს დაქვემდებარებული აქტივების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ან ინდივიდუალურად არიან მატერიალურნი ან იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ინდივიდუალურად მატერიალურად არ კლასიფიცირდებიან და ამდენად, ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლივად ფასდებიან. გაუფასურების კოლექტიური შეფასების შემთხვევაში, ხდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების დაჯგუფება.

გაუფასურების მიზნებისათვის ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობა დგინდება დანაკარგის და დაგვიანებული გადახდების წარმატებულად ამოღების საკმარისი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. ისტორიული გამოცდილების ჩასწორება ხდება ამჟამად არსებული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ასახავენ ახლანდელ გარემოებებს - თუ მსგავსი გარემოებები გასული პერიოდის აქტივობაზე გავლენას არ ახდენდნენ. ისტორიული გამოცდილების ჩასწორება ასევე ხდება იმ გარემოებების გამორიცხვით, რომლებიც ადრე არსებობდნენ, თუმცა ამჟამინდელ საქმიანობაზე არ ახდენენ გავლენას. თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების პირობები მოლაპარაკების შედეგად ან სხვაგვარად იცვლება მსესხებლის ან გამსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება პირობების შეცვლამდე არსებული, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დგინდება.

გაუფასურებით გამოწვეული ზარალი ყოველთვის აღირიცხება ნარჩენი ღირებულების ანგარიშში რაც ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას მოსალოდნელი ფულადი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

სახსრების მოძრაობის ამჟამინდელ ღირებულებამდე (რაც ჯერ კიდევ განუცდელ, მომავალ საკრედიტო ხარჯებს გამორიცხავს), რომელიც აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული. დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება კონვერტირებისათვის გამზადებული, აღრიცხული ფულადი სახსრებისაგან, რომლებიც თავისუფალნი არიან ღირებულების შეცვლის რისკისაგან. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტებია ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშები და მისაღები მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა. სახსრები, რომლებიც წარმოშობიდან 3 თვეზე მეტი ხნის ვადა აქვთ, ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებად არ კლასიფიცირდება.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. ნამეტი შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ შემოსავალში ნასესხები სახსრების პერიოდისათვის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალსა და გადაუნაწილებელ მოგებას. დივიდენდები კაპიტალში შეიტანება მათი წარდგენის პერიოდში. თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე, ისინი შეიტანება შენიშვნაში მომდევნო მოვლენების შესახებ.

სარეზერვო, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

სარეზერვო ვალდებულებების შესრულების დრო ან რაოდენობა დაზუსტებული არ არის. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პასუხისმგებლობა, რომელიც გასული მოვლენების შედეგად წარმოიშვა და რომლის გადახდაც მოსალოდნელია საწარმოდან ეკონომიკური ბენეფიტებიდან გამომდინარე წყაროს მეშვეობით. ვალდებულების შემქმნელი მომენტი მოვლენა, რომელიც ქმნის სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის შედეგადაც საწარმოს სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა მისი შესრულებისა, არ გააჩნია. სამართლებრივია ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს:

- ხელშეკრულებიდან (მისი გაწერილი ან ნაგულისხმევი პირობებიდან);
- კანონმდებლობიდან;
- კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

კონსტრუქციულია ვალდებულება, რომელიც საწარმოს აქტივობიდან გამომდინარეობს და უკავშირდება:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

- არსებული პრაქტიკით დადგენილ ტენდენციას, გამოქვეყნებულ პოლიტიკას ან საკმარისად სპეციფიკურ განცხადებას, რომელიც საწარმომ სხვა მხარეების წინაშე გააკეთა და რომელიც ადასტურებს მის მიერ გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას;
- და საწარმოს მიერ სხვა მხარეებისათვის შექმნილ ვალიდურ მოლოდინს, რომ ის შეასრულებს ამ ვალდებულებას.

ტერმინი „პირობითი ვალდებულება“ გამოიყენება იმ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც აღიარების კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ. სააღრიცხვო პოლიტიკის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან განსხვავდება:

- სარეზერვო ვალდებულება - რომელიც ცნობილია ასეთად (იმ დამტკიცებით, რომ გონივრული მიახლოებითი კალკულაცია ჩატარდა), რადგან ის მიიჩნევა მიმდინარე ვალდებულებად და მათ დასაფარად გამოყენებული იქნება საწარმოს რესურსები, რომლებიც ეკონომიკური ბენეფიტებიდან გამომდინარეობს.
- პირობითი ვალდებულება - რომელიც ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს ამ სტანდარტის შესაბამისად (რადგან მის დასაფარად ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოყენებული იქნება საწარმოს რესურსები, რომლებიც ეკონომიკური ბენეფიტებიდან გამომდინარეობს, ან ვალდებულების ზომის დასადგენად გონივრული მიახლოებითი კალკულაციის ჩატარება შეუძლებელია).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური ბენეფიტის გადინება დიდი ალბათობით წარმოიშვება და ამგვარი ვალდებულებების რაოდენობა შეიძლება დიდი ალბათობით დადგინდეს. ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ მჟღავნდება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური ბენეფიტის გადინება.

პირობითი ვალდებულებები შესაძლებელია მოულოდნელად განვითარდეს. შესაბამისად, მათი შეფასება განგრძობითად ხდება, რათა განისაზღვროს ეკონომიკური ბენეფიტებიდან გამომდინარე რესურსების გადინების შესაძლებლობა. თუ იქმნება იმის მოლოდინი, რომ მომავალი ეკონომიკური ბენეფიტების გადინება საჭირო შეიძლება გახდეს იმ ობიექტიდან გამომდინარე, რომელიც ადრე პირობით ვალდებულებად მიიჩნეოდა, მისი რეკლასიფიკაცია ხდება სარეზერვო ვალდებულებად, რომელიც აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს ვარაუდი გაჩნდა (გარდა უკიდურესად იშვიათი შემთხვევისა, როდესაც დაახლოებითი კალკულაცია შეუძლებელია).

პირობითი ვალდებულება არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია გამჟღავნდება ეკონომიკური ბენეფიტების შემოადინებისას. თუ ეკონომიკური ბენეფიტების წარმოშობა აშკარაა, აქტივი და მასთან დაკავშირებული შემოსავალი შესაბამისი იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება, როდესაც შეფასების ცვლილება განხორციელდა.

გადასახადები

საგადასახადო ხარჯი მოიცავს წლის განმავლობაში მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. გადასახადი აისახება კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, რომ ეს აღიარდება სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადის განაკვეთი გამოითვლება ბალანსის ფურცლის მიღების თარიღისთვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს საგადასახადო

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

კანონმდებლობის საფუძველზე და დაბეგვრის საგანს წარმოადგენს შემოსავლები. მენეჯმენტი პერიოდულად

აფასებს გადასახადების დაბრუნებასთან დაკავშირებულ პოზიციას იმ საგადასახადო რეგულაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ის ასევე ადგენს რეგულაციებს, რომელთა თანახმადაც განისაზღვრება საგადასახადო ორგანოებისათვის მოსალოდნელი გადახდების რაოდენობა.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება პასუხისმგებლობის მეთოდის გამოყენებით, ან დროებითი განსხვავებებით აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო საფუძველზე და ფინანსურ ანგარიშგებაში მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიქმნება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას გარიგების შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური კომბინაცია გავლენას არ ახდენს არც ბუღალტრულ აღრიცხვაზე და არც მოგებასა თუ ზარალზე. გადავადებული მოგების გადასახადი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთის (და კანონების) გამოყენებით, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ხორციელდებოდა ბალანსის ფურცლის მიღების დროისათვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის რეალიზაცია, ან გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დაიფარება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები აღიარებულია იმდენად, რამდენადაც სავარაუდოა, რომ მომავალში ხელმისაწვდომი იქნება დასაბეგრი მოგება რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი განსხვავებები. გადავადებული მოგების გადასახადი აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება გაქვითვას, როდესაც მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების საპირწონედ არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების გამოყენების კანონიერი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები არსებობს ერთი და იგივე საგადასახადო ორგანოსთან მიმართ ან სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებში, თუმცა არსებობს წმინდა ნაშთის გაქვითვის სურვილი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალი და ხარჯები, რომლებიც სარგებელს უკავშირდება, აღიარდება ყველა სავალი ინსტრუმენტზე დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი განსაზღვრავს, ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა საფასურს, რომელიც ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯებსა და სხვა პრემიუმებსა ან ფასდაკლებებს, როგორც სარგებელთან დაკავშირებული შემოსავლის ან ხარჯების ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს საწარმოს მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან, ასევე ფინანსურ ვალდებულების გაცემასთან დაკავშირებულ მოსაკრებლებს. მათ შორის, კრედიტუნარიანობის შეფასების საფასურს, გარანტიების ან უზრუნველყოფის საშუალებების შეფასებას და გაფორმებას, ინსტრუმენტის პირობებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს გარიგების დოკუმენტების გადამუშავების მიზნით. სავალდებულო გადასახადები, რომლებიც ორგანიზაციის მიერაა მიღებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხის გასაცემად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, თუ სავარაუდოა, რომ ორგანიზაცია

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

კონკრეტული სესხის გაცემასთან დაკავშირებულ გარიგებაში შევა და არაა მოსალოდნელი კრედიტის გასხვისება მისი წარმოშობიდან მოკლე ვადის გასვლის შემდეგ.

როდესაც სესხებისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების შეგროვება საეჭვოა, მათი წარმოდგენა უნდა მოხდეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოძინების ღირებულების შესაბამისად, ხოლო სარგებელთან დაკავშირებული შემოსავალი აისახება არსებული ღირებულების დისკონტის საფუძველზე, აქტივის იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოკლებით, გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის გაზომვისას გამოიყენებოდა.

ყველა სხვა გადასახადი, საკომისიო და სხვა შემოსავლები და ხარჯები, ზოგადად, აღირიცხება დარიცხვის საფუძველზე და კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების მითითებით, იმ ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებულია მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

მესამე მხარის სახელით, ტრანზაქციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოებისა და მონაწილეობის შედეგად წარმოქმნილი საკომისიო და მოსაკრებლები, როგორცაა სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რომლებიც მიიღება ძირითადი გარიგების შესრულების შედეგად, აღირიცხება შესაბამისი გარიგების დასრულების შემდეგ.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

თანამდებობრივი სარგო, ხელფასები, ბონუსები და არამატერიალური ბონუსები, რომლებიც წლის მანძილზე დაირიცხება ორგანიზაციის დაქირავებული თანამშრომლების მიერ გაწეული სერვისების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც დადგა საანგარიშო პერიოდის შემდეგ ან ფინანსური ანგარიშგების გამოცემისათვის ავტორიზაციის მომენტამდე და რომლებიც მოიცავენ დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, აისახება შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შევსების შემდეგ დამდგარი ღონისძიებები, რომლებიც ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ბალანსის შევსების თარიღისათვის არ ახდენს შეიტანება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, მათი დადგომის შემდეგ.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი საქონელი შეფასებულია პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ორგანიზაცია მოქმედებს ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში (ლარი), რაც ორგანიზაციის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტაა.

ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ორგანიზაციის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

ტრანზაქციების დასრულებასთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება და ზარალი და ფულადი სახსრებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური სავალუტო კურსით აღირიცხება კუმულატიური შემოსავლის ანგარიშგებაში. კონვერტაციის საჭიროება წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსით არ ვრცელდება არასაბანკო საგნებზე, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციებზე. ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულებით გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგები აღირიცხება სამართლიანი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

ღირებულების ზარალის ან მოგების სახით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოგიდგენთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის დახურულ სავალუტო კურსებს:

					აშშ დოლარი/ლარი
გაცვლითი კურსი	2017	წლის	31		2.5922
დეკემბრისათვის					
გაცვლითი კურსის	2016	წლის	31		2.6468
დეკემბრისათვის					

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია მომავალთან დაკავშირებით დაზუსტებულ შეფასებებსა და ანალიზს აკეთებს. შეფასებები და დასკვნები მუდმივად აფასებენ ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რომლებიც, ვითარების გათვალისწინებით, გონივრულად მიიჩნევა. მომავალში, ფაქტობრივმა გამოცდილება შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და ვარაუდებისაგან. ქვემოთ მოყვანილია შეფასებები და მოსაზრებები, რომლებიც შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მატერიალური კორექტირების მნიშვნელოვანი რისკს ქმნიან.

სესხების გაუფასურების დისკონტი

გაუფასურების შეფასების მიზნით, ორგანიზაცია რეგულარულად აფასებს საკრედიტო პორტფელს. იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად უნდა იყოს შეტანილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემოსავლის ანგარიშგებაში, ორგანიზაცია აფასებს ხელმისაწვდომი მონაცემების არსებობას, რომლებიც მიუთითებენ, რომ სესხების პორტფელის სამომავლო ფულადი ნაკადების არსებითი შემცირებაა მოსალოდნელი, მანამ სანამ ასეთი პროგნოზირება ამ პორტფელის ინდივიდუალური სესხის საფუძველზე იქნება შესაძლებელი. მსგავს მონაცემებში იგულისხმება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსესხებლების გადახდისუნარიანობის მდგომარეობის თვალსაზრისით უარყოფითი ცვლილებებია სახეზე, ან დადგა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობები, რომლებიც ორგანიზაციის აქტივების დეფლაციასთანაა კორელაციაში. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხის ან სესხის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი წარმოიშვა, დანაკარგის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა არსებული ან მისაღები სესხის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის (მათ შორის იგულისხმება, სესხის დისკონტირებული უზრუნველყოფის საგნიდან მისაღები სახსრები და ამჟამინდელი ან მისაღები სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი). სამომავლო ფულადი ნაკადების მოცულობისა და პერიოდულობის შეფასებისას გამოყენებული მეთოდოლოგია და მოსაზრებები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას, რათა შემცირდეს სხვაობა ზარალის დაახლოებით კალკულაციასა და რეალურ მოცულობას შორის.

მოგების გადასახადი

ჩვეულებრივი საქმიანობის დროს, არსებობს მრავალი გარიგება და გათვლები, რომელთათვისაც საბოლოო გადასახადის განსაზღვრა შეუძლებელია. შედეგად, ორგანიზაცია აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს დამატებითი გადასახადებისა და სარგებლის

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

დაახლოებითი კალკულაციის საფუძველზე. მიუხედავად ორგანიზაციის ვარაუდისა აღნიშნული კალკულაციების სანდოობასთან დაკავშირებით, ამ საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მისი გარკვეული პოზიცია სავარაუდოდ გადაიხდება და შეიცვლება საგადასახადო ორგანოების მიერ მათი განხილვის შედეგად. შედეგად, ორგანიზაცია ამცირებს ამ საკითხთან დაკავშირებულ რისკებს. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საგადასახადო ვალდებულებების ყველა დარიცხვა ადეკვატურია აუდიტისათვის ღია ყველა წლის განმავლობაში, რაც ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულის გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას. ეს შეფასება ეფუძნება შეფასებებსა და მოსაზრებებს და შეიძლება სამომავლო მოვლენებთან დაკავშირებული კომპლექსური გადაწყვეტილებების სერიას მოიცავდეს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტების სია შემდეგნაირად გამოიყურება:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში (ხელზე) ლარში	234,562	90,895
ფულადი სახსრები სალაროში (ხელზე) უცხოურ ვალუტაში	44	358,684
ფულადი სახსრები ბანკში ლარში	755,588	73,030
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	130,209	442,076
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი სრულად	1,120,403	964,685

ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტის დისტრიბუცია ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია შენიშვნა N16-ში.

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხების ჰარმონიზაცია შეთანხმებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
შეთანხმების შესაბამისად წარმოშობილი, კლიენტებზე გაცემული სესხები	63,324,925	22,067,950
შეთანხმების შესაბამისად დარიცხული სარგებელი	6,665,615	1,099,634
შეთანხმების შედეგად კლიენტებზე გაცემული სესხები, სრულად	69,990,540	23,167,584
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით განხორციელებული კორექტირება*	(976,787)	(557,628)
კლიენტებზე გაცემული სესხების საერთო ღირებულება	69,013,753	22,609,956

*კორექტირების დეტალები: საკრედიტო სესხის გაცემის თარიღისთვის მომსახურების საკომისიოდან მიღებული შემოსავალი, აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, IAS 39-ის შესაბამისად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და სარგებლიდან მიღებული შემოსავლის დისკონტირების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

ორგანიზაციის პოლიტიკის მიხედვით, კლიენტზე გაცემული ყველა სესხის უზრუნველყოფის საგანს ავტომატურად წარმოადგენს. მენეჯმენტის შეფასებით, სესხის პერიოდის დაწყებისათვის უზრუნველყოფის საგნები სამართლიანი ღირებულება ადამატება შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებას 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კლიენტებზე გაცემული სესხები ვალუტის მიხედვით ჩაშლილია შენიშვნა N16-ში.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

7. გადასახადები

თანხების მოძრაობის საგადასახადო გავლენა პერიოდულ სხვაობაზე აღრიცხული 15%-იანი
 საპროცენტო განაკვეთით შემდეგნაირად გამოიყურება:

პერიოდული სხვაობა აღრიცხული 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რაც გამოწვეულია:	ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	დაკრედიტებული (დარიცხული) შემოსავლის ანგარიშგებაში	ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	დაკრედიტებული (დარიცხული) შემოსავლის ანგარიშგებაში	ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის
კლიენტებზე გაცემული სესხებით	-	83,644	83,644	62,874	146,518
მომდევნო პერიოდებზე გადასატანი საგადასახადო ზარალით	-	113,067	113,067	(113,067)	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	196,711	196,711	(50,193)	146,518

მოგების გადასახადის დანახარჯი წლებისათვის, რომელიც 2017 და 2016 წლების 31
 დეკემბერს დასრულდა, შემდეგნაირად გამოიყურება:

	2017	2016
ამჟამინდელი მოგების გადასახადი	(1,309,186)	-
პერიოდული სხვაობის გავლენა	(50,193)	196,711
მოგების გადასახადი (დანახარჯი)/სარგებელი	(1,359,379)	196,711

მოგების გადასახადის (ხარჯის)/სარგებლის კანონმდებლობით გათვალისწინებული
 განაკვეთის რეალურთან შედარებით კორექციის შედეგი შემდეგნაირად გამოიყურება:

	2017	2016
მოგება მოგების გადასახადამდე	13,520,624	
შესაბამისი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
მოგების გადასახადის თეორიული (ხარჯი)/სარგებელი	(2,028,094)	259,219
პერმანენტული განსხვავების შედეგი	668,715	(62,508)
მოგების გადასახადის (დანახარჯი)/სარგებელი	(1,359,379)	196,711

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

8. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად
 გამოიყურებოდა:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	434,000	226,635
გადასახდელი ხელფასი	34,108	18,384
სხვა	127,085	25,638
სხვა ვალდებულებები, სრულად	595,193	270,657

9. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის
 შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

					2017 წლის 31 დეკემბერი	
	საპროცენტო განაკვეთი	წარმოშობის თარიღი	ვადის გასვლის თარიღი	ვალუტა	წარმოშობილი ნასესხები სახსრები	დარიცხული საპროცენტო განაკვეთი
ევრო კრედიტ +	24%	03.02.2016	03.02.2019	აშშ დოლარი	46,479,983	11,177,639
შპს w.g.h Georgia Investments	24%	06.03.2017	31.12.2018	აშშ დოლარი	674,678	121,719
შპს Zuk China Stone Works	24%	01.01.2016	31.12.2018	ლარი	11,458	-
ნასესხები სახსრების სრული რაოდენობა					47,166,119	11,299,358

					2016 წლის 31 დეკემბერი	
	საპროცენტო განაკვეთი	წარმოშობის თარიღი	ვადის გასვლის თარიღი	ვალუტა	წარმოშობილი ნასესხები სახსრები	დარიცხული საპროცენტო განაკვეთი
ევრო კრედიტ +	24%	03.02.2016	03.02.2019	აშშ დოლარი	23,502,836	1,272,562
შპს Zuk China Stone Works	24%	01.01.2016	31.12.2018	ლარი	11,458	-
ნასესხები სახსრების სრული რაოდენობა					23,514,294	1,272,562

ნასესხები სახსრები საკრედიტო ხაზის პირობებს შეესაბამება. ხელმოწერილი სესხის
 ხელშეკრულების თანახმად, პერიოდის მანძილზე დარიცხული სარგებელი ყოველი
 საანგარიშო წლის ბოლოს უნდა იქნეს გადახდილი.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

10. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

პარტნიორები	წილობრივი მონაწილეობა	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
შპს ZUK CHINA STONWORKS	75.51%	188,775	188,775
შპს Mody Import & Marketing Ceramics	7.99%	19,975	19,975
იოსებ როივენ გრენიკასი	9.50%	23,750	23,750
ური ზუკი	5.00%	12,500	12,500
ეილ დუენიასი	2.00%	5,000	5,000
სრული საწესდებო კაპიტალი	100%	250,000	250,000

11. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2017	2016
ჯარიმები და პირგასამტეხლოები	3,389,683	70,907
ადრეული გადახდის საკომისიოს შემოსულობები	243,859	-
სხვა	106,757	333
სრული სხვა შემოსავალი	3,740,299	71, 240

12. ფინანსური სერვისები

2016 წლის 15 ივნისს ორგანიზაციასა და შპს ევრო კრედიტ +-ს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების საგანია ორგანიზაციის ოპერაციულ აქტივობებთან დაკავშირებული ფინანსური სერვისების მიწოდება.

შპს ევრო კრედიტ + წარმოადგენს გამოცდილ საწარმოს, რომელიც ორგანიზაციის ტიპის საქმიანობას აწარმოებს, რაც, ძირითადად, გამოიხატება შემდეგში: კლიენტის აპლიკაცია, მომხმარებელთა მონაცემების ანალიზი, რისკების შეფასება, სესხის პირობების განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება სესხის გაცემასთან დაკავშირებით.

ფინანსური სერვისები ასევე გულისხმობს კლიენტებისაგან სახსრების ამოღებას, მათ შორის:

- მსესხებლებთან ყოველდღიური/ყოველთვიური/ყოველწლიური ურთიერთობა კომუნიკაციის სხვადასხვა არხის (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ.) გამოყენებით;
- კლიენტებთან მოლაპარაკებების წარმოება საჭიროების შემთხვევაში სესხის რესტრუქტურისა და ან რეფინანსირების მიზნით;
- ფულადი სახსრების შეგროვება საქართველოს კანონმდებლობისა და სესხის ხელშეკრულების შესაბამისად ვადაგადაცემული სესხების მიმართ.

ზემოთ ნახსენები სერვისების ფარგლებში შპს ევრო კრედიტ + მოქმედებდა საკუთარი აქტივების, მათ შორის, საოფისე აღჭურვილობისა და შესაბამისი თანამშრომლების გამოყენებით. 2017 წლის 1 იანვარს ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
(ლარებში)

13. გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები

გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2017	2016
აპლიკაციების შემოწმების ხარჯები	(671,501)	(387,271)
ნეგატიური სესხის ამოღების ხარჯი	(685,146)	-
იჯარის გადასახადი	(449,270)	(4,409)
საბანკო ხარჯები	(132,811)	(3,912)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული სერვისები	(102,735)	(12,197)
საწვავი	(93,087)	-
მარკეტინგის ხარჯი	(76,279)	(11,720)
ოფისის ხარჯები	(61,965)	-
კომუნალური გადასახადები	(58,199)	-
IT საკონსულტაციო სერვისი	(51,595)	-
კომუნიკაცია	(28,722)	-
მივლინებები	(23,186)	-
იურიდიული ხარჯები	(16,215)	(3,629)
ეროვნული ბანკისთვის გადახდილი ჯარიმა	(11,000)	-
სხვა	(166,711)	(2,969)
სრული გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,628,422)	(426,107)

14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2017	2016
ხელფასი	(2,700,082)	(125,034)
ბონუსი	(275,862)	-
დაზღვევა	(65,948)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	(3,041,892)	(125,034)

15. პირობითი ვალდებულებები

საწესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა

როგორც ზემოთ, შენიშვნა N1-შია ნახსენები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგნაირად უნდა შეივსოს:

- არანაკლებ 500 000 ლარისა - 2018 წლის 1-ელ სექტემბრამდე;
- არანაკლებ 1 000 000 ლარისა - 2019 წლის 1-ელ ივლისამდე

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

როგორც ფინანსური ინსტიტუტი, ორგანიზაცია დგას იმ რისკების წინაშე, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით წარმოიქმნება. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს ამ რისკების მართვისათვის და მათ შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში. იგულისხმება, რომ ლიკვიდური ან მოკლევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიანი ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით და უმთავრესი პასუხისმგებლობის შენარჩუნებისას, მას ორგანიზაციის ფინანსური ფუნქციების ეფექტური განხორციელების მიზნით, დელეგირებული აქვს უფლებამოსილებათა შემუშავებისა და ოპერაციულ სისტემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.

მენეჯმენტის უმთავრესი მიზანია, განსაზღვროს პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად ამცირებს რისკებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის უნარზე მავნე ზეგავლენის მოხდენის გარეშე. ამ პოლიტიკის დეტალები ქვემოთაა მოცემული. ამ ოპერაციების შედეგად, ორგანიზაცია შემდეგი ტიპის რისკების წინაშე დგას:

- კრედიტთან დაკავშირებული რისკი
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი
- ბაზართან დაკავშირებული რისკი
 - გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი
 - საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი

კრედიტთან დაკავშირებული რისკი

კრედიტთან დაკავშირებული რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარემ შეიძლება მეორე მხარეს მიაყენოს ფინანსური ზიანი ვალდებულების ვერშესრულების შედეგად. კრედიტთან დაკავშირებული რისკი წარმოიშობა სესხების გაცემისა და სხვა ტრანზაქციების შედეგად, რომლებშიც მეორე მხარეები ფინანსური აქტივის მიღების საფუძველს ქმნიან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალური რისკის წინაშე არიან. საანგარიშო თარიღებისათვის კრედიტთან დაკავშირებული რისკის წინაშე შემდეგი აქტივები იდგნენ:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფულადი აქტივები და მათი ექვივალენტი	885,797	515,106
კლიენტებზე გაცემული სესხები	69,013,753	22,609,956
რისკის წინაშე მდგარი აქტივები, სრულად	69,899,550	23,125,062

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი

ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკში იგულისხმება საკმარისი სახსრების ხელმისაწვდომობა სესხის დაბრუნებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომისას. მათი შესრულება უნდა განხორციელდეს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით.

ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკის მართვის მიზნით, ორგანიზაცია სამომავლო მოსალოდნელი ფულადის სახსრების მუდმივ მონიტორინგს აწარმოებს, რაც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია განხილული. მონაცემები ასახავს ორგანიზაციის უმთავრესი მმართველობითი ფუნქციების მქონე თანამშრომლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისათვის ყველა ფინანსური ვალდებულების ვადა 1 წლამდეა.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის სტატუსი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე ვადით	1 წლიდან 3 წლამდე	საერთო
ნასესხები სახსრები	-	24,786,856	24,786,856
ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელსაც სარგებელი ერიცხება	-	24,786,856	24,786,856
სხვა ვალდებულებები	270,657	-	270,657
ყველა ფინანსური ვალდებულება	270,657	24,786,856	25,057,513

ბაზართან დაკავშირებული რისკები

ბაზართან დაკავშირებული რისკები განიმარტება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირების საფრთხე, რაც საბაზრო ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული. საბაზრო რისკი წარმოიშობა ორგანიზაციის მიერ იმ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად, რომელთან სარგებელი ერიცხება ან უცხოურ ვალუტაშია წარმოდგენილი. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობა განიცდის მერყეობას გაცვლითი კურსის (გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი) ან საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი) გამო.

• გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი

გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი განიმარტება როგორც რისკის სახეობა, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსით გამოწვეულ ფლუქტუაციას უკავშირდება. ორგანიზაცია ამ ფლუქტუაციის შედეგების ზეგავლენას განიცდის, რადგან უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი გავლენას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ორგანიზაციის წინაშე მდგარი გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგ ცხრილშია წარმოდგენილი:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი	990,150	130,253
კლიენტებზე გაცემული სესხები	62,503,009	6,510,744
ფინანსური აქტივები, სრულად	63,493,159	6,640,997
ფინანსური ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	595,193	-
ნასესხები სახსრები	11,458	58,454,019
ფინანსური ვალდებულებები, სრულად	606,651	58,454,019
ღია ბალანსის მდგომარეობა	62,886,508	(51,813,022)

ორგანიზაციის წინაშე მდგარი გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგ ცხრილშია წარმოდგენილი:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი	163,993	800,692
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,752,783	18,857,173
ფინანსური აქტივები, სრულად	3,916,776	19,657,865
ფინანსური ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	270,657	-
ნასესხები სახსრები	11,458	24,775,398
ფინანსური ვალდებულებები, სრულად	282,115	24,775,398
ღია ბალანსის მდგომარეობა	3,634,661	(5,117,533)

შემდგომი ცხრილი ასახავს ორგანიზაციის სენსიტიურობას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის 20%-ით მატების ან შემცირების შემთხვევაში ლართან მიმართებაში და წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სავარაუდო ცვლილების გავლენის

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ანალიზის შედეგს. სენსიტიურობის ანალიზი გულისხმობს მხოლოდ ვადაგადაცილებული, უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად სახსრებს და მათ კონვერტაციას წლის ბოლოსთვის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის 20%-იანი ცვლილების მიმართ აკორექტირებს. კუმულატიური შემოსავლისა და კაპიტალის ანგარიშგებაზე ამ კორექტირების გავლენა 2017 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით, შემდეგია:

		(ლარი/აშშ დოლარი)	
სენსიტიურობა	საბაზრო	2017	2016
გაცვლითი	კურსის		
ფლუქტუაციისადმი			
20%-იანი მატება		(10,362,604)	(1,023,507)
20%-იანი შემცირება		10,362,604	1,023,507

• **საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი**

საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი საპროცენტო განაკვეთის საბაზრო ცვლილებებითაა გამოწვეული, რამაც ორგანიზაციის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს. ამგვარი რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადახდის ვადის დადგომის არასწორი გაანგარიშებით, ასევე ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახალ შეფასებასთან დაკავშირებული თავისებურებებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებულ რისკებს აჯამებს ორგანიზაციისათვის. ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთაც სარგებელი ერიცხებათ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

		2017	2016
ფინანსური	აქტივები,	69,013,753	22,609,956
რომელთაც	სარგებელი		
ერიცხება			
ფინანსური		58,465,477	24,786,856
ვალდებულებები,			
რომელთაც	სარგებელი		
ერიცხება			
სარგებლის	მიმართ	10,548,276	(2,176,900)
სენსიტიურობის			
განსხვავება, ნეტო			

კომპანიის იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთაც სარგებელი ერიცხებათ განსაზღვრულია მყარი საპროცენტო განაკვეთი. შესაბამისად, კომპანიის შემოსავალს და ხარჯებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ფლუქტუაცია გავლენას არ ახდენს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნებისას ორგანიზაციის მიზნებია:

- ორგანიზაციის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს შესაძლებლობის დაცვა, რათა მან შესაბამისი საქმიანობის გაგრძელება შეძლოს;
- სეზონის მიერ დაწესებული კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება;
- პარტნიორებისათვის ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფა.

ორგანიზაცია გამოყოფს რისკის პროპორციული კაპიტალის რაოდენობას. ორგანიზაცია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივებთან დაკავშირებული რისკების თავისებურებების გათვალისწინებით.

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

IAS 24-ის - „ინფორმაციის გამჟღავნება დაკავშირებული მხარეებისათვის“ თანახმად, დაკავშირებული მხარე ან ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, შუამავლების მეშვეობით: აკონტროლებენ ორგანიზაციას, ან კონტროლდებიან მის მიერ ან არიან ორგანიზაციასთან საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს მშობელ კომპანიას, შვილობილ ან დობილ კომპანიას); აქვს ინტერესი ორგანიზაციის მიმართ, რაც მას ორგანიზაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ანიჭებს ან აქვს საერთო კონტროლი ორგანიზაციაზე;

ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი კომპანიის უმნიშვნელოვანესი მმართველობითი ფუნქციების მქონე თანამშრომლები;

გ) ა) ან ბ) პუნქტებში მითითებული პირების ოჯახის წევრები;

დ) მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოებს, რომლებიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ კონტროლდებიან ინდივიდუალურად ან კოლექტიურად გ) ან ბ) პუნქტებში მითითებული პირების მიერ, არიან ამ პირების მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ, ან ამ პირებს აქვთ შესაბამისი მხარეებთან მიმართებაში ხმის მნიშვნელოვანი უფლება.

თითოეული პოტენციური დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება მახვილდება ამგვარი ურთიერთობის არსზე და არამხოლოდ მის სამართლებრივ ფორმაზე. ორგანიზაციასა და სხვა დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციების დეტალები ქვევით მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

დაკავშირებული მხარეების ბალანსი და ტრანზაქცია 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

ფინანსური მდგომარეობის ჩანაწერი	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმო
ნასესხები სახსრები	58,465,477
სხვა ვალდებულებები	434,000
სარგებელთან დაკავშირებული ხარჯები	(9,684,411)
ფინანსური სერვისები	(5,190,656)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა
 (ლარებში)

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეების ბალანსი და ტრანზაქცია 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

ფინანსური მდგომარეობის ჩანაწერი	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმო
ნასესხები სახსრები	24,786,856
სარგებელთან დაკავშირებული ხარჯები	(1,106,433)
ფინანსური სერვისები	(3,781,313)

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ცვლილება წილის პროპორციაში: შპს Mody Import & Marketing Ceramics-ის მეპატრონემ მისი კუთვნილი წილი 7,99%-ის ოდენობით გადასცა შპს შპს D. Mody Properties-ს. იოსებ როივენ გრენიკასმა, რომელსაც 9,5%-ის ოდენობის წილი ჰქონდა კომპანიაში 3% გადასცა ორდენ დუნიასს.

საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 12 ივნისისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

პარტნიორები	წილი	2018 წლის 12 ივნისისათვის
შპს ZUK CHINA STONEWORKS LIMITED	75,51%	188,775
შპს D. Mody Properties LTD	7,99%	19,975
იოსებ როივენ გრენიკასი	6,50%	16,250
ური ზუკი	5,00%	12,500
ეიალ დუენიასი	2,00%	5,000
ორენ დუენიასი	3,00%	7,500
სრული საწესდებო კაპიტალი	100%	250,000

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	
ფინანსური ანგარიშგება	
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფინანსური პოზიციის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით (ლარებში)	6
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი - კომპლიანსი პერიოდის შესახებ ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით (ლარებში)	7
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კაპიტალის დამატების შესახებ ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით (ლარებში)	
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფინანსური პოზიციის შესახებ (ლარებში)	
ფინანსური ანგარიშგების შედეგები	

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 წარმოდგენილი დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიშგებთან ერთად
 წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

1. გენერალური დირექტორის განცხადება	10
2. მენეჯერების განცხადება	12
3. ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	14
4. კრედიტის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	16
5. ფინანსური პოზიციის და მისი შედეგების განცხადება	18
6. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	20
7. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	22
8. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	24
9. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	26
10. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	28
11. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	30
12. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	32
13. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	34
14. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	36
15. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	38
16. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	40
17. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	42
18. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	44
19. კაპიტალის ანგარიშგების მიზანშეწონიერების განცხადება	46

მეც. კვანტალი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში.....	3
ფინანსური ანგარიშგებები	
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფინანსური პოზიციის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით (ლარებში).....	6
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისათვის (ლარებში).....	7
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კაპიტალის ცვლილების ანგარიში წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულდა (ლარებში)	8
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ლარებში).....	9
ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძველი	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა.....	16
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	24
5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი	26
6. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	26
7. გადასახადები.....	27
8. სხვა ვალდებულებები	28
9. ნასესხები სახსრები	29
10. საწესდებო კაპიტალი.....	29
12. ფინანსური სერვისები	292
13. გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები	30
14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები.....	30
15. პირობითი ვალდებულებები	30
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	31
17. კაპიტალის მართვა.....	35
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	36

მ.კ. კანკიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

წარდგენილი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის მეწილეებისა და მენეჯმენტისათვის

კვალიფიციური მოსაზრება

შევისწავლეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის (შემდგომში, ორგანიზაცია), რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით შემუშავებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშებისა და მითითებულ დროს დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის, კაპიტალსა და ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებების შესახებ ანგარიშებისაგან, ფინანსური ანგარიშგების კომენტარებისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერისაგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის კვალიფიცირებული მოსაზრების დასაბუთების ნაწილში მითითებული გარემოებების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშები, მატერიალური თვალსაზრისით, სწორად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაში ასახულ ცვლილებებს წლისათვის, რომელიც მითითებულ დროს დასრულდა და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS - ფასს).

კვალიფიცირებული მოსაზრების დასაბუთება

რიგ შემთხვევებში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ იყო გამოყენებული იმ მომხმარებლების მიმართ, რომელთაც 2017 წლისათვის ვადაგადაცილებული სესხები ჰქონდათ. ნაცვლად ამისა, სარგებლის დარიცხვისას გამოიყენებოდა სესხის დაბრუნების თავდაპირველი განრიგი, რაც IFRS - ფასს-ის ნორმებისაგან გადახრას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ვერ შევძელით დაგვედგინა, რამდენად აუცილებელია კლიენტებზე გაცემული სესხების, შემოსავლისა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ელემენტების კორექტირება.

როგორც შენიშვნა 9-შია მითითებული, ორგანიზაციამ, საერთო კონტროლის ქვეშ მიიღო სესხი დაკავშირებული მხარეებისაგან. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის, ფინანსური პოზიციის ანგარიშში მითითებული სესხის რაოდენობა, შესაბამისად, შეადგენს 58 465 477 ლარსა და 24 786 856 ლარს. ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, თუ რამდენად შესაბამისი ღირებულებით აისახა აღნიშნული თანხები შესაბამისად, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის. აქედან გამომდინარე, ვერ დავადგინეთ, თუ რამდენადაა საჭირო ამ სესხებისა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ელემენტების კორექტირება. ორგანიზაციას არ წარუდგენია კლიენტებზე გაცემული, ვადაგადაცილებული, თუმცა მოქმედი სესხების დამკველების ანალიზი, რაც IFRS - ფასს-ის ნორმებისაგან გადახრას წარმოადგენს.

ჩვენი აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs). ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი ვალდებულებები ამ ანგარიშის აუდიტსა და ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებული აუდიტორის ვალდებულებების ნაწილშია წარმოდგენილი. საერთაშორისო ბუღალტრული ეთიკური სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA-ს კოდექსი) და საქართველოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების თანახმად, ჩვენ წარმოვადგენთ ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელ ერთეულს და შევასრულეთ ამ მოთხოვნებისა და IESBA-ს კოდექსის შესაბამისი სხვა ეთიკური ვალდებულებები.

მაც მკაცრი

რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება საკმარისია და
კვალიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტისა და მმართველობითი ფუნქციების
მიერ პირების პასუხისმგებლობის საკითხი

მენეჯმენტი პასუხს აგებს ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სწორად წარდგენაზე IFRS
- ფასს-ის ნორმების შესაბამისად, ამ მიზნისათვის მენეჯმენტის მიერ არსებითად მცდარი
ინფორმაციის, მათ შორის, თაღლითობისა და შეცდომისაგან თავისუფალი ფინანსური
ანგარიშების მომზადებისას აუცილებელია შიდა კონტროლის მექანიზმი.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს საწარმოს
ფუნქციონირების უნარი, საჭიროებისამებრ, გაგვიზიაროს, ორგანიზაციასთან, როგორც
ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული ინფორმაცია და ბუღალტრული
საქმიანობის წარმოებისას სწორედ ამ პრინციპით იხელმძღვანელოს, გარდა იმ შემთხვევისა,
როდესაც მენეჯმენტს სურს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან
აღნიშნულის გარდა სხვა რეალისტური ალტერნატივა არ გააჩნია.

მმართველობითი უფლებამოსილების მქონე პირები პასუხს აგებენ ორგანიზაციის ფინანსური
ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული დასაბუთების მოპოვება იმასთან დაკავშირებით, რომ
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები თავისუფალია, მათ შორის თაღლითობითა და
შეცდომით გამოწვეული, არსებითად მცდარი ინფორმაციისგან და გავცეთ აუდიტორის
ანგარიში, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრულ დასაბუთებას წარმოადგენს/
მაღალი დონის დასაბუთება, თუმცა ეს არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს სტანდარტებით
ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებითად მცდარ ინფორმაციას, თუ ასეთი
არსებობს.

არსებითად მცდარი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშში შეიძლება გამოწვეული იყოს
თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუ ცალ-ცალკე ან ერთობლივად,
ინფორმაცია, ფინანსური ანგარიშის გაცნობის შემთხვევაში, ზეგავლენას მოახდენს
მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ISA-ს სტანდარტებით ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვახორციელებთ
პროფესიონალურ შეფასებასა და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეფსისს აუდიტის
პროცესის ფარგლებში. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული,
არსებითად მცდარი ინფორმაციის არსებობის რისკების გამოვლენასა და შეფასებას,
ვაყალიბებთ და ვატარებთ აუდიტორულ ზომებს, რომლებიც ამ რისკებზეა
მორგებული და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და
შესაბამისია ჩვენი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული,
არსებითად მცდარი ინფორმაციის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომით გამოწვეულ,
არსებითად მცდარი ინფორმაციის ვერ შემჩნევის რისკზე მაღალია, რადგან
თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს პირთა შეთქმულებას, გაყალბებას, ინფორმაციის
განზრახ გამოტოვებას, არასწორ წარმოდგენას, ან თაღლითობის შედეგად შეიძლება
თავიდან იქნეს აცილებული შიდა კონტროლი.
- ვსწავლობთ აუდიტისათვის რელევანტური შიდა კონტროლის არსს, რათა
განვსაზღვროთ გარემოების შესაფერისი აუდიტორული ღონისძიებები, თუმცა ამ

მეს. ცხელიძე

პროცესში მიზნად არ ვისახავთ ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმის ეფექტურობასთან დაკავშირებით ჩვენი აზრის გამოთქმას.

- შევაფასოთ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა, ბუღალტრული კალკულაციის გონივრულობა და მენეჯმენტის მიერ ამასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია.
 - მივიღოთ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწორად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპს ბუღალტრული აქტივობებში და აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, განვსაზღვროთ არსებითად მცდარი ინფორმაციის არსებობა იმ საკითხებთან და პირობებთან მიმართებაში, რომელთაც შეუძლიათ შექმნან საფუძვლიანი ეჭვი ორგანიზაციის საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ დადგინდება არსებითად მცდარი ინფორმაციის არსებობის ფაქტი, ჩვენ მოგვეთხოვება აუდიტორულ ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, ხოლო თუ ინფორმაციის გამჟღავნება არ იქნება მიზანშეწონილი, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ანგარიშში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მომავალში, გარკვეული მოვლენებისა თუ გარემოებების შექმნის შედეგად ორგანიზაციამ შეიძლება ვეღარ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება.
 - შევაფასოთ იმ ფინანსური ანგარიშების ზოგადი წარდგენა, სტრუქტურა და შინაარსი, რომლებშიც მოცემულია ტრანზაქციები და ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო შესაბამის ანგარიშებს და უზრუნველყოფს მათ სისწორეს.
 - მოვიპოვოთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება ორგანიზაციაში პირებისა თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსური ანგარიშების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ აუდიტის ჩატარების მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ აუდიტორული მოსაზრების სისწორით. ჩვენ კონტაქტს ვინარჩუნებთ მხოლოდ მმართველობითი ფუნქციების მქონე პირებთან, მათ შორის, აუდიტის დაგეგმილ ფარგლებსა და დროსთან, აუდიტორული შემოწმების დასკვნებთან, მათ შორის, აუდიტის ფარგლებში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებთან დაკავშირებით.
- ჩართული პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია ჩატარებული აუდიტის შედეგად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშზე - ივანე ჟუჟუაშვილი.

ივანე ჟუჟუაშვილი

შპს BDO-სთვის და მისი სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 15 ივლისი

მეც. ცხელიძე

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფინანსური პოზიციის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით (ლარებში)

	შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი	5	1 120 403	964 685
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	69 013 753	22 609 956
სხვა აქტივები		56 008	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	146 518	196 711
აქტივების სრული მოცულობა		70 336 682	23 771 352
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	8	595 193	270 657
გადახდას დაქვემდებარებული გადასახადები		400 928	-
მიღებული სესხები	9	58 465 477	24 786 856
ვალდებულებების სრული მოცულობა		59 461 598	25 057 513
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	250 000	250 000
დაგროვებული შემოსავალი/(დანაკარგი)		10 625 084	(1 536 161)
კაპიტალის სრული მოცულობა		10 875 084	(1 286 161)
ვალდებულებებისა და კაპიტალის სრული მოცულობა		70 336 682	23 771 352

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
დირექტორი: იოსებ როივენ გრენიკასი
ფინანსური მენეჯერი: გუჯა ცინცაძე

მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გვერდი 6
გვერდების საერთო რაოდენობა 36

მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის (ლარებში)

	შენიშვნა	2017	2016
სარგებლის შედეგად მიღებული შემოსავალი		28 669 914	3 831 415
სარგებელთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი		(9 684 411)	(1 106 433)
სარგებლის დარიცხული შემოსავალი მოქმედების პერიოდში		18 985 503	2 724 982
სესხის გაუქმება		-	-
სარგებლის შემოსავალი, დარიცხული		18 985 503	2 724 982
სხვა შემოსავალი	11	3 740 299	71 240
ფინანსური მომსახურება	12	(5 190 656)	(3 781 313)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(2 628 422)	(46 107)
შემოსავალი და დასაქმებულთა სხვა შემოსავალი	14	(3 041 892)	(125 034)
მოგება/(დანაკარგი) გაცვლითი კურსის განსხვავების გამო, დარიცხული		1 655 792	(191 894)
მოგება/(დანაკარგი) მოგების გადასახადამდე		13 520 624	(1 728 126)
მოგების გადასახადის ხარჯი		(1 359 379)	196 711
სრული შემოსავალი		12 161 245	(1 531 415)

მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გვერდი 7
გვერდების საერთო რაოდენობა 36

მე-36-ე გვერდი

მას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი კაპიტალის ცვლილების ანგარიში წლებისათვის, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულდა (ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვებული შემოსავალი (დანაკარგი)	სრულად
2015 წლის 31 დეკემბერი	250 000	(4 746)	245 254
წლის მანძილზე არსებული დანაკარგი, სრულად		(1 531 415)	(1 531 415)
2016 წლის 31 დეკემბერი	250 000	(1 536 161)	(1 286 161)
წლის მანძილზე არსებული შემოსავალი, სრულად	-	12 161 245	12 161 245
2017 წლის 31 დეკემბერი	250 000	10 625 084	10 875 084

მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გვერდი 8
გვერდების საერთო რაოდენობა 36

მკვლევარი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ლარებში)

	2017	2016
ზიკური საქმიანობის შედეგად ფულადი სახსრების მოძრაობა:		
/(დანაკარგი) მოგების გადასახადამდე	13 520 624	(1 728 126)
ეზა:		
ელი სარგებლის ცვლილება, დარიცხული	(18 985 503)	(2 724 982)
რი ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/(დანაკარგი), ხული	(1 655 792)	191 894
ზიკური საქმიანობის შედეგად ფულადი სახსრების გადინება ოპერაციული ბისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(7 120 671)	(4 261 214)
იული აქტივების ზრდა:		
ებზე გაცემული სესხები	(35 029 724)	(16 753 066)
ტივები	(56 008)	
იული ვალდებულებების ზრდა:		
ლდებულებები	323 491	271 319
იული აქტივობებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება, ხადების გადახდამდე	(41 882 912)	(20 742 961)
ელი სარგებელი	21 671 099	3 289 409
ილი მოგების გადასახადი	(908 259)	-
იული აქტივობებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება, ხული	(21 120 072)	(17 453 552)
ატიციო აქტივობების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, დარიცხული	-	-
ური აქტივობების შედეგად ფულადი სახსრების მოძრაობა:		
შედეგად მიღებული სარგებელი	26 920 863	23 871 115
გადახდა	(5 450 072)	(6 010 167)
ური აქტივობების შედეგად ფულადი სახსრების შემოძინება, დარიცხული	21 470 791	17 860 948
დი სახსრებისა და ფულად სახსრებთან გათანაბრებული აქტივების ზრდა, ხული	350 718	407 396
დის დასაწყისისათვის არსებული ფულადი სახსრები და მასთან ბრებული აქტივები	964 685	261 458
იტი კურსის ცვალეზადობის გავლენა უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად ბსა და მასთან გათანაბრებულ აქტივებზე	(195 000)	295 831
ბოლოსათვის ფულადი სახსრებისა და მასთან გათანაბრებული აქტივების ღნობა	1 120 403	964 685

მე-10-დან 36-ე გვერდის ჩათვლით მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს.

გვერდი 9
გვერდების საერთო რაოდენობა 36

მ.ა.ი. კანკიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შემდგომში, ორგანიზაცია), რომელიც 2011 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდა საქართველოში, თბილისის საგადასახადო დეპარტამენტში სარეგისტრაციო ნომრით 404919102. მიუხედავად ამისა, პირველი ტრანზაქცია განხორციელდა 2014 წელს (თანხის შეტანა საწესდებო კაპიტალში), ამავე წელს ორგანიზაცია დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფორმით.

ორგანიზაცია ეკონომიკურ საქმიანობას აწარმოებს მიკროსაფინანსო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (შემდგომში, ეროვნული ბანკი).

მის უმთავრეს ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე სესხების გაცემა (რომელთა უზრუნველყოფის საშუალებას ავტომობილები წარმოადგენს) საქართველოში მყოფ კლიენტებზე.

ორგანიზაციის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. თითოეული დეპარტამენტის ყოველდღიურ საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება მენეჯერის მიერ, რომელიც ინიშნება ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, აღმასრულებელი დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

ორგანიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ჰქონდა 5 ფილიალი საქართველოს დიდ ქალაქებში.

ორგანიზაციის პარტნიორების სია 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მონაცემებით, შემდეგია:

პარტნიორები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
შპს Zuk China Stone Works Limited	75.51%	75.51%
შპს Mody Import & Marketing Ceramics	7.99%	7.99%
იოსებ როივენ გრენიკასი	9,5%	9,5%
ური ზუკი	5%	5%
ეიკალ დუენიასი	2%	2%
სრული მონაცემები	100%	100%

მოშე ზუკი 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოადგენდა ორგანიზაციის საკონტროლო პაკეტის მესაკუთრე პარტნიორს. ორგანიზაციის ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში, სააკაძის ქუჩა N11, მეორე შესახვევი.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

მედიკალი

ლარებში)

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100 000 (ასი ათას) ლარს (50 000 ლარისაგან განსხვავებით, ძველი რეგულაციების თანახმად);
- პირის მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციისათვის მისი განადღებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარზე ნაკლები (ნაცვლად 250 000-სა, ძველი რეგულაციების თანახმად). ეგისტრირებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა განადღებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანამიმდევრობით:
 - ა) არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა – 2018 წლის 1 სექტემბრამდე;
 - ბ) არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა – 2019 წლის 1 ივლისამდე.

განადღებული კაპიტალი მხოლოდ ფულადი ფორმით უნდა იყოს შევსებული.

მეცხერა

2 მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშები შემუშავდა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების, საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ერთობლივად, IFRS - ფასს) შესაბამისად.

ორგანიზაცია ახდენს დოკუმენტების შენახვასა და ამზადებს ფინანსურ ანგარიშებს ლარში საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების (IFRS - ფასს) შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.

ორგანიზაციის საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშებში მითითებული თანხები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშების მომზადება IFRS - ფასს-სთან შესაბამისად, მოითხოვს კრიტიკულ ბუღალტრულ გაანგარიშებას. მენეჯმენტისაგან ასევე მოითხოვება განსჯა ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. შენიშვნა 4-ში მოცემულია სფეროები, რომელთა მიმართაც ფინანსური ანგარიშების მომზადებისას საჭირო გახდა მნიშვნელოვანი განსჯისა და გაანგარიშების გამოყენება.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა ისტორიული ღირებულების მეთოდის საფუძველზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები

ა) 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაცია და ცვლილებები ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშებზე ზემოქმედებას არ ახდენს 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაცია და სტანდარტების ცვლილებები.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაცია და ცვლილებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა შემდეგი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაცია და ცვლილებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა და წინამდებარე ფინანსური ანგარიშების მომზადებისას არ იყო გათვალისწინებული, ზემოქმედებას მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IFRS - ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან
- IFRS - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები
- IFRS - ფასს 16 იჯარა

IFRS - ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. 2014 წლის მაისში მიღებულ იქნა IFRS - ფასს 15, რომელიც ქმნის ერთ ყოვლისმომცველ მოდელს პირების მიერ ბუღალტრული საქმიანობის პროცესში გამოსაყენებლად იმ ამონაგების მიმართ, რომელიც მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან იქნა მიღებული. IFRS - ფასს 15, ძალაში შესვლის შემდეგ, ჩაანაცვლებს ამჟამად მოქმედ მოგების დადასტურების სახელმძღვანელოს, მათ შორის IAS 18-ს (შემოსავალი) და IAS 11 (სამშენებლო კონტრაქტები) და შესაბამის განმარტებებს.

IFRS - ფასს 15-ის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საწარმოო დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. სტანდარტი აწესებს

გვერდი 12

გვერდების საერთო რაოდენობა 36

მ. ა. ანდუკაძე

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ერთიან, პრინციპებზე დაფუძნებულ ხუთ ნაბიჯიან მოდელს, რომელიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში უნდა იქნეს გამოყენებული: მოდელის ხუთი ნაბიჯის სია შემდეგია:

- კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
- ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი ვალდებულების მიკუთვნება;
- აღიაროს ამონაგები როდესაც (ან თუ) საწარმო დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას.

IFRS - ფასს 15-ის თანახმად, საწარმომ მაშინ უნდა აღიაროს ამონაგები, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას - ე.ი. როდესაც „კონტროლი“ დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე გადაეცემა მომხმარებელს. უფრო დიდი ყურადღება ეთმობა საკითხებს, მათ შორის იმას, თუ როდის უნდა მოხდეს ამონაგების აღიარება, როგორ უნდა განხორციელდეს ცვალებადი ანაზღაურების შეფასება, ხელშეკრულების შესრულებისა და მიღების და სხვა მსგავს დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე წესდება ამონაგებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების ახალი სტანდარტები. 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა დაშვებულია ადრეული გამოყენება. IFRS - ფასს 15-ის მიმართ გამოყენებული მიდგომის შესაბამისად, საწარმოს სხვადასხვა მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად ან დროთა მანძილზე.

IFRS - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები. IFRS - ფასს 9 მიღებულ იქნა 2009 წლის ნოემბერში. აღნიშნული ინსტრუმენტი აწესებს ფინანსური აქტივობის ახალ კლასიფიკაციასა და მათი შეფასების წესს. IFRS - ფასს 9-ში შევიდა ცვლილებები 2010 წლის ოქტომბერში, რომელთა თანახმადაც განისაზღვრა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შეფასების, ასევე აღიარების შეწყვეტის წესი. ხოლო 2013 წლის ნოემბერში შესული ცვლილებებით დადგინდა ჰეჯირების აღრიცხვის ზოგადი წესის ახალი მოთხოვნები. 2014 წლის ივლისში IASB-ის მიერ მიღებულ იქნა IFRS - ფასს 9-ის საბოლოო რედაქცია, რომელიც ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნებს აწესებს და შეიტანა მცირედი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიცირებისა და შეფასების მოთხოვნებთან დაკავშირებით. IFRS - ფასს 9 მიზნად ისახავს IAS 39-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) ჩანაცვლებას.

IFRS - ფასს 9-ის მთავარი მოთხოვნებია:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება. ფინანსური აქტივების კლასიფიცირება უნდა მოხდეს საწარმოს ბიზნეს მოდელზე დაყრდნობით, რომელიც გამოიყენება მათი მართვისთვის და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების მიხედვით. კონკრეტულად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება შესაბამის ბიზნეს მოდელში სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ფასდება მათი ამორტიზებული ღირებულების მიხედვით, მათი აღიარების შემდეგ. IFRS - ფასს 9-ის 2014

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მიმ. კვლევა

წლის რედაქციაში ნახსენებია ბიზნეს მოდელში გამოყენებული სავალო ინსტრუმენტების კატეგორია - „სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას“, რომლის აღნიშვნულუბასაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოზიდვა და ფინანსური აქტივების გასხვისება, იმის გათვალისწინებით, რომ სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოზიდვაში იგულისხმება მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა. ეს უკანასკნელი იზომება მათი სამართლიანი ღირებულებით, სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში ასახვის გზით, თავდაპირველი შეფასების შემდეგ. ყველა სხვა ინვესტიცია სესხისა და კაპიტალის მიმართ ფასდება მათი სამართლიანი ღირებულების მიხედვით. ამასთან, IFRS - ფასს 9-ის, თანახმად, საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში ასახოს ისეთ წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები, რომლებიც არ წარმოადგენს სავაჭროდ გამიზნულ ინსტრუმენტს. ასეთ შემთხვევაში, მან მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს აღნიშნული ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება.** ფინანსური პასუხისმგებლობების კლასიფიკაციისა და შეფასების მიმართ გამოყენებული მეთოდი ჰგავს IAS 39-ით განსაზღვრულ წესს, თუმცა განსხვავება შეინიშნება იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება საწარმოს მიერ საკუთარი კრედიტის რისკების შეფასებას. IFRS - ფასს 9-ის მოთხოვნების თანახმად, ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების ნაწილი, რომელიც მიეკუთვნება აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას, უნდა აისახოს სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღრიცხვა გამოიწვევდა ან გაზრდიდა მოგებაში ან ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამოებს. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის სამართლიანი ღირებულების ცვლილება არ რეკლასიფიცირდება მოგებასა თუ ზარალში.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი უფრო ახლოსაა საწარმოების მიერ რისკის მართვის პრაქტიკასთან, როდესაც საკითხი ფინანსური და არა-ფინანსური რისკთან დაკავშირებულ ჰეჯირებას ეხება. IFRS - ფასს 9-ის თანახმად, დისკრეციის უფრო დიდი საშუალებაა იმ ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში, რომლებიც ჰეჯირების აღრიცხვას ექვემდებარებიან, განსაკუთრებით ფართოდება იმ ინსტრუმენტთა ჩამონათვალი, რომლებიც ჰეჯირების ინსტრუმენტებად შეიძლება ჩაითვალოს და იზრდება არა-ფინანსურ საგნებთან დაკავშირებული რისკების კომპონენტების ტიპების სია. დამატებით, ეფექტურობის ტესტი ჩანაცვლდა ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპით. ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება ასევე აღარ მოითხოვება. ასევე დაინერგა ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის მაღალი სტანდარტი საწარმოს რისკის მენეჯმენტთან დაკავშირებული აქტივობების შემთხვევაში.
- **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა IAS 39-დან გრძელდება. სტანდარტი ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მისი ადრეული გამოყენება დასაშვებია. IFRS - ფასს 9-ის მიმართ გამოყენებული მიდგომის შესაბამისად, საწარმოს სხვადასხვა მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად ან დროთა მანძილზე.

მეც. კვლევა

მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- IFRS - ფასს 16 იჯარა. 2016 წლის იანვარში IASB-ის მიერ მიღებულ იქნა IFRS - ფასს 16. IFRS - ფასს 16 ანაცვლებს IAS 17-ს (იჯარა); IFRIC 4-ს (შეთანხმებაში იჯარის არსებობის დადგენის შესახებ), SIC 15-ს (ოპერაციული იჯარა - ინსენტივები) და SIC -27-ს (იჯარის სამართლებრივი ფორმის შემცველი ტრანზაქციების შინაარსის შეფასება).

მეიჯარეებისათვის მოქმედი აღრიცხვის მოთხოვნები IAS 17-საგან დიდწილად არ განსხვავდება. ეს ნიშნავს რომ მეიჯარემ თითოეულ იჯარას ან საოპერაციო იჯარის კლასიფიკაცია უნდა მიანიჭოს, ან ფინანსური იჯარის. მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება მოიჯარეებს, IFRS - ფასს 16 ადგენს ერთიან მოდელს მოიჯარეებისათვის და აუქმებს განსხვავებას საოპერაციო იჯარისა და ფინანსური იჯარის კლასებს შორის, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება აისახება თითქმის ყველა იჯარის ხელშეკრულებისათვის. აქტივი აღირიცხება, როგორც საკუთრება, აღჭურვილობა ან საინვესტიციო ქონება, ხოლო ვალდებულების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა საწარმოებმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეიძლება არ ასახონ მოკლევადიანი იჯარა (იჯარა, რომლის ვადა 12 თვე ან ნაკლებია) ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარა.

შედეგად, მთავარი შეკითხვა აღარ ეხება იმას, თუ იჯარა საოპერაციოა თუ ფინანსური, არამედ იმას, თუ რამდენად მოიცავს გარიგება იჯარის ელემენტებს. IFRS ფასს 16-ის მასშტაბი ფართოა და გარკვეული გარიგებები, რომლებიც შეეხება აქტივების გამოყენებას და ამდენად, შეიძლება მომსახურების ხელშეკრულებად ჩაითვალოს (რაც აღსრულებადი ხასიათისაა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება), IFRS ფასს 16-ის მიზნებისათვის, შეიძლება იჯარის ხელშეკრულებად ჩაითვალოს. აუცილებელია მნიშვნელოვანი სისტემური და პროცედურული ცვლილებების გატარება ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით.

შემოსავლის ანგარიშგებაში, IFRS ფასს 16-ის გამოყენება გამოიწვევს (საოპერაციო ხარჯებში) ცვეთისა და სარგებლის ხარჯები. თუ ჩავთვლით, რომ ცვეთის ხარჯი სწორხაზოვნად განისაზღვრება, საერთო დანახარჯი იჯარის პირველი ფაზისათვის უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მისი მომდევნო პერიოდებისათვის, რადგან იჯარის ვალდებულება და მასთან დაკავშირებული სარგებლის ხარჯი უფრო მაღალია.

IFRS ფასს 16 ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, თუმცა IFRS ფასს 15-თან ერთად, მისი ადრეული გამოყენებაც დასაშვებია.

IFRS ფასს 15-ის (კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების ამონაგები), IFRS ფასს 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) და IFRS ფასს 16-ის (იჯარა) შედეგი ჯერ კიდევ შეფასების პროცესშია, რადგან ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა აქვთ ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

მე. ცანცაძე

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა

ფინანსური სააღრიცხვო ღონისძიებები, რომლებიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესში იქნა გამოყენებული, მოცემულია ქვევით. ეს ღონისძიებები გამოხატული საანგარიშო წლების მანძილზე განუხრელად გამოიყენებოდა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები IAS 39-ის მიზნებისათვის კლასიფიცირდება როგორც ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, რომლებიც აღრიცხულია მოგებასა ან ზარალში, სხვათა შორის თუ მისაღებ თანხებში, დაფარვის ვადამდე დაფლულ ინვესტიციებში ან გასაყიდად გამოზნულ ფინანსურ აქტივებში. ორგანიზაცია ფინანსური აქტივების კლასს განსაზღვრავს თავდაპირველი ცნობისას.

სამართლიანი ღირებულება, რომელიც მოგებაში ან ზარალშია აღრიცხული

ფინანსური აქტივები აისახება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით, როდესაც აქტივი ან სარეალიზაციოდაა შენახული ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში ასახვად აქტივად სამართლიანი ღირებულებით. მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხელახალი შეფასებით აღმოჩენილი ნებისმიერი დანამატი ან დანაკარგი აისახება როგორც მოგება ან ზარალი.

ორგანიზაციას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივი.

დაფარვის ვადამდე დაფლული ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ე. ან ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება შეძენასთან ან გამოცემასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. პირველადი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური სპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი.

გასაყიდად გამიზნული აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არაა კლასიფიცირებული და მიიჩნევა გასაყიდად გამიზნულ აქტივებად, რომლებიც, ძირითადად ორგანიზაციის სტრატეგიულ ინვესტიციებს წარმოადგენენ ისეთ საწარმოებში, რომლებიც მის შვილობილებად, პარტნიორებად ან ერთობლივად კონტროლირებად პირებად არ ითვლებიან. ამ კატეგორიაში ერთიანდება ასევე კორპორატიული ფასიანი ქაღალდები. მათი შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილება აისახება სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში და ხელმისაწვდომია გასაყიდად გამიზნულ რეზერვში; გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან განგრძობითი შემცირების შემთხვევაში (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების სრული ღირებულება, მათ შორის სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში ასახული თანხა მიიჩნევა მოგებად ან ზარალად.

გასაყიდად გამიზნული აქტივების შეძენა ან გაყიდვა აღირიცხება ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის; ხოლო სამართლიანი ღირებულების სხვაობა გაყიდვისა და გარიგების განხორციელების თარიღებს შორის აისახება გასაყიდად გამიზნულ რეზერვში. გაყიდვის შემთხვევაში, კუმულატიური მოგება ან ზარალი, რომელიც ასახული სხვა სრულ

მ. კ. კ. კ.

(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

შემოსავალში რეკლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნული რეზერვიდან მოგებაში ან ზარალში. ორგანიზაციას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ა) აქტივები გამოთხოვილია ან ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებულ უფლებებს სხვაგვარად გაუვიდა ვადა ბ) როცა ორგანიზაციამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და (i) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ii) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი. აქტივზე კონტროლის შენარჩუნებაში იგულისხმება იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარეს არ აქვს აქტივის მესამე მხარისათვის მიყიდვის სრული პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ვალდებულებებზე კლასიფიცირდება ორგანიზაციის გადასახდელები და კლიენტების ანგარიშები. მათი თავდაპირველი შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რაშიც ტრანზაქციის ფასის ნეტო ღირებულება იგულისხმება. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზების ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო საპროცენტო განაკვეთის ხარჯები ეფექტური სარგებლის საფუძველზე დგინდება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებებისა და საპროცენტო განაკვეთის ხარჯის ამორტიზებული ღირებულები გამოთვლის მეთოდს საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელშიც თავდაპირველი შეფასებისას ნარჩენ საბალანსო ღირებულებაში სრულად ითვლება მომავალი ფულადი გადახდები ფინანსური ვალდებულების არსებობის მანძილზე, ან (სადაც ეს შესაძლებელია), უფრო მოკლე პერიოდისათვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაციის ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

(გ) ურთიერთდაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

მეცხე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

(დ) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურება გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი აისახება მოგებაში ან დანაკარგში მისი ერთი ან რამდენიმე გარემოების (გარემოება, რომელიც იწვევს ზარალს) დადგომის დროისათვის, თუ ამგვარი მოვლენა დადგა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და თუ მას აქვს გავლენა ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გამოთვლადი მომავალი ფულადი სახსრების მოზიდვის ვადასა ან ზომაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების უმთავრესი მიზეზი ორგანიზაციისათვის არის მისი ვადაგადაცილება და გამოყენებული უზრუნველყოფის ზომის რეალიზება საფრთხის ქვეშაა (ასეთი საფრთხის შემთხვევაში). გაუფასურებით გამოწვეული ზარალის სხვა არსებითი მტკიცებულების არსებობის დასადგენად სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმები სია შემდეგნაირად გამოიყურება:

- ნებისმიერი გადახდის ვადა გასულია და დაგვიანებული გადახდა ანგარიშსწორების სისტემის შეფერხებით არაა გამოწვეული
- მსესხებელი განიცდის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, რაც ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით დასტურდება;
- მსესხებელი განიხილავს გადახდისუუნარობის ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- მსესხებლის გადახდის სტატუსი უარყოფითად შეიცვალა, რაც ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მასზე ასახვის შედეგია;
- უზრუნველყოფის ზომის ღირებულება ბაზრის მდგომარეობის სერიოზული გაუარესების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა.

გაუფასურება გამოითვლება რისკებს დაქვემდებარებული აქტივების ანალიზზე და ასახავს შესაბამისი დანაკარგის დასაფარად მენეჯმენტის აზრით საკმარის რაოდენობას. პროვიზია იქმნება რისკს დაქვემდებარებული აქტივების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ან ინდივიდუალურად არიან მატერიალურნი ან იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ინდივიდუალურად მატერიალურად არ კლასიფიცირდებიან და ამდენად, ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლივად ფასდებიან. გაუფასურების კოლექტიური შეფასების შემთხვევაში, ხდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების დაჯგუფება.

გაუფასურების მიზნებისათვის ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობა დგინდება დანაკარგის და დაგვიანებული გადახდების წარმატებულად ამოღების საკმარისი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. ისტორიული გამოცდილების ჩასწორება ხდება ამჟამად არსებული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ასახავენ ახლანდელ გარემოებებს - თუ მსგავსი გარემოებები გასული პერიოდის აქტივობაზე გავლენას არ ახდენდნენ. ისტორიული გამოცდილების ჩასწორება ასევე ხდება იმ გარემოებების გამორიცხვით, რომლებიც ადრე არსებობდნენ, თუმცა ამჟამინდელ საქმიანობაზე არ ახდენენ გავლენას. თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების პირობები მოლაპარაკების შედეგად ან სხვაგვარად იცვლება მსესხებლის ან გამსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება პირობების შეცვლამდე არსებული, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დგინდება.

გაუფასურებით გამოწვეული ზარალი ყოველთვის აღირიცხება ნარჩენი ღირებულების ანგარიშში რაც ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას მოსალოდნელი ფულადი

მიმ. მ. ს. ს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

სახსრების მოძრაობის ამჟამინდელ ღირებულებამდე (რაც ჯერ კიდევ განუცდელ, მომავალ საკრედიტო ხარჯებს გამოიცხავს), რომელიც აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული. დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება კონვერტირებისათვის გამზადებული, აღრიცხული ფულადი სახსრებისაგან, რომლებიც თავისუფალნი არიან ღირებულების შეცვლის რისკისაგან. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტებია ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშები და მისაღები მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა. სახსრები, რომლებიც წარმოშობიდან 3 თვეზე მეტი ხნის ვადა აქვთ, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებად არ კლასიფიცირდება.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. ნამეტი შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ შემოსავალში ნასესხები სახსრების პერიოდისათვის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალსა და გადაუნაწილებელ მოგებას. დივიდენდები კაპიტალში შეიტანება მათი წარდგენის პერიოდში. თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე, ისინი შეიტანება შენიშვნაში მომდევნო მოვლენების შესახებ.

სარეზერვო, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

სარეზერვო ვალდებულების შესრულების დრო ან რაოდენობა დაზუსტებული არ არის. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პასუხისმგებლობა, რომელიც გასული მოვლენების შედეგად წარმოიშვა და რომლის გადახდაც მოსალოდნელია საწარმოდან ეკონომიკური ბენეფიტებიდან გამომდინარე წყაროს მეშვეობით. ვალდებულების შემქმნელი მომენტი მოვლენა, რომელიც ქმნის სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის შედეგადაც საწარმოს სხვა რეალისტური ალტერნატივა, გარდა მისი შესრულებისა, არ გააჩნია. სამართლებრივია ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს:

- ხელშეკრულებიდან (მისი გაწერილი ან ნაგულისხმევი პირობებიდან);
- კანონმდებლობიდან;
- კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

კონსტრუქციულია ვალდებულება, რომელიც საწარმოს აქტივობიდან გამომდინარეობს და უკავშირდება:

მეცნიერ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

- არსებული პრაქტიკით დადგენილ ტენდენციას, გამოქვეყნებულ პოლიტიკას ან საკმარისად სპეციფიკურ განცხადებას, რომელიც საწარმომ სხვა მხარეების წინაშე გააკეთა და რომელიც ადასტურებს მის მიერ გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას;
- და საწარმოს მიერ სხვა მხარეებისათვის შექმნილ ვალიდურ მოლოდინს, რომ ის შეასრულებს ამ ვალდებულებას.

ტერმინი „პირობითი ვალდებულება“ გამოიყენება იმ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც აღიარების კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ. სააღრიცხვო პოლიტიკის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან განსხვავდება:

- სარეზერვო ვალდებულება - რომელიც ცნობილია ასეთად (იმ დაშვებით, რომ გონივრული მიახლოებითი კალკულაცია ჩატარდა), რადგან ის მიიჩნევა მიმდინარე ვალდებულებად და მათ დასაფარად გამოყენებული იქნება საწარმოს რესურსები, რომლებიც ეკონომიკური ბენეფიტებიდან გამომდინარეობს.
- პირობითი ვალდებულება - რომელიც ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს ამ სტანდარტის შესაბამისად (რადგან მის დასაფარად ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოყენებული იქნება საწარმოს რესურსები, რომლებიც ეკონომიკური ბენეფიტებიდან გამომდინარეობს, ან ვალდებულების ზომის დასადგენად გონივრული მიახლოებითი კალკულაციის ჩატარება შეუძლებელია).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური ბენეფიტის გადინება დიდი ალბათობით წარმოიშვება და ამგვარი ვალდებულებების რაოდენობა შეიძლება დიდი ალბათობით დადგინდეს. ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ მჟღავნდება ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური ბენეფიტის გადინება.

პირობითი ვალდებულებები შესაძლებელია მოულოდნელად განვითარდეს. შესაბამისად, მათი შეფასება განგრძობითად ხდება, რათა განისაზღვროს ეკონომიკური ბენეფიტებიდან გამომდინარე რესურსების გადინების შესაძლებლობა. თუ იქმნება იმის მოლოდინი, რომ მომავალი ეკონომიკური ბენეფიტების გადინება საჭირო შეიძლება გახდეს იმ ობიექტიდან გამომდინარე, რომელიც ადრე პირობით ვალდებულებად მიიჩნეოდა, მისი რეკლასიფიკაცია ხდება სარეზერვო ვალდებულებად, რომელიც აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშებებში, როდესაც ეს ვარაუდი გაჩნდა (გარდა უკიდურესად იშვიათი შემთხვევისა, როდესაც დაახლოებითი კალკულაცია შეუძლებელია).

პირობითი ვალდებულება არ აისახება ფინანსურ ანგარიშებებში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია გამჟღავნდება ეკონომიკური ბენეფიტების შემოღინებისას. თუ ეკონომიკური ბენეფიტების წარმოშობა აშკარაა, აქტივი და მასთან დაკავშირებული შემოსავალი შესაბამისი იმ წლის ფინანსურ ანგარიშებებში აისახება, როდესაც შეფასების ცვლილება განხორციელდა.

გადასახადები

საგადასახადო ხარჯი მოიცავს წლის განმავლობაში მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. გადასახადი აისახება კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშებებში, გარდა იმ შემთხვევისა, რომ ეს აღიარდება სხვა კონსოლიდირებულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადის განაკვეთი გამოითვლება ბალანსის ფურცლის მიღების თარიღისთვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს საგადასახადო

მუხრან

(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

კანონმდებლობის საფუძველზე და დაბეგვრის საგანს წარმოადგენს შემოსავლები. მენეჯმენტი

პერიოდულად

აფასებს გადასახადების დაბრუნებასთან დაკავშირებულ პოზიციას იმ საგადასახადო რეგულაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ის ასევე ადგენს რეგულაციებს, რომელთა თანახმადაც განისაზღვრება საგადასახადო ორგანოებისათვის მოსალოდნელი გადახდების რაოდენობა.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება პასუხისმგებლობის მეთოდის გამოყენებით, ან დროებითი განსხვავებებით აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო საფუძველსა და ფინანსურ ანგარიშგებაში მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღირიცხება იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიქმნება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას გარიგების შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური კომბინაცია გავლენას არ ახდენს არც ბუღალტრულ აღრიცხვაზე და არც მოგებასა თუ ზარალზე. გადავადებული მოგების გადასახადი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთის (და კანონების) გამოყენებით, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ხორციელდებოდა ბალანსის ფურცლის მიღების დროისათვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის რეალიზაცია, ან გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დაიფარება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები აღიარებულია იმდენად, რამდენადაც სავარაუდოა, რომ მომავალში ხელმისაწვდომი იქნება დასაბეგრი მოგება რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი განსხვავებები. გადავადებული მოგების გადასახადი აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება გაქვითვას, როდესაც მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების საპირწონედ არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების გამოყენების კანონიერი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები არსებობს ერთი და იგივე საგადასახადო ორგანოსთან მიმართ ან სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებში, თუმცა არსებობს წმინდა ნაშთის გაქვითვის სურვილი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალი და ხარჯები, რომლებიც სარგებელს უკავშირდება, აღირიცხება ყველა სავალი ინსტრუმენტზე დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი განსაზღვრავს, ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა საფასურს, რომელიც ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯებსა და სხვა პრემიუმებსა ან ფასდაკლებებს, როგორც სარგებელთან დაკავშირებული შემოსავლის ან ხარჯების ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს საწარმოს მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან, ასევე ფინანსურ ვალდებულების გაცემასთან დაკავშირებულ მოსაკრებლებს. მათ შორის, კრედიტუნარიანობის შეფასების საფასურს, გარანტიების ან უზრუნველყოფის საშუალებების შეფასებას და გაფორმებას, ინსტრუმენტის პირობებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს გარიგების დოკუმენტების გადამუშავების მიზნით. სავალდებულო გადასახადები, რომლებიც ორგანიზაციის მიერაა მიღებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხის გასაცემად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, თუ სავარაუდოა, რომ ორგანიზაცია

მე-13 სტრ.

(ლარკისი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

კონკრეტული სესხის გაცემასთან დაკავშირებულ გარიგებაში შევა და არაა მოსალოდნელი კრედიტის გასხვისება მისი წარმოშობიდან მოკლე ვადის გასვლის შემდეგ.

როდესაც სესხებისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების შეგროვება საეჭვოა, მათი წარმოდგენა უნდა მოხდეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოძინების ღირებულების შესაბამისად, ხოლო სარგებელთან დაკავშირებული შემოსავალი აისახება არსებული ღირებულების დისკონტის საფუძველზე, აქტივის იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოკლებით, გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის გაზომვისას გამოიყენებოდა.

ყველა სხვა გადასახადი, საკომისიო და სხვა შემოსავლები და ხარჯები, ზოგადად, აღირიცხება დარიცხვის საფუძველზე და კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების მითითებით, იმ ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებულია მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

მესამე მხარის სახელით, ტრანზაქციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოებისა და მონაწილეობის შედეგად წარმოქმნილი საკომისიო და მოსაკრებლები, როგორიცაა სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რომლებიც მიიღება ძირითადი გარიგების შესრულების შედეგად, აღირიცხება შესაბამისი გარიგების დასრულების შემდეგ.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

თანამდებობრივი სარგო, ხელფასები, ბონუსები და არამატერიალური ბონუსები, რომლებიც წლის მანძილზე დაირიცხება ორგანიზაციის დაქირავებული თანამშრომლების მიერ გაწეული სერვისების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც დადგა საანგარიშო პერიოდის შემდეგ ან ფინანსური ანგარიშგების გამოცემისათვის ავტორიზაციის მომენტამდე და რომლებიც მოიცავენ დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, აისახება შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შევსების შემდეგ დამდგარი ღონისძიებები, რომლებიც ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ბალანსის შევსების თარიღისათვის არ ახდენს შეიტანება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, მათი დადგომის შემდეგ.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი საქონელი შეფასებულია პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ორგანიზაცია მოქმედებს ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში (ლარი), რაც ორგანიზაციის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტაა.

ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ორგანიზაციის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

ტრანზაქციების დასრულებასთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება და ზარალი და ფულადი სახსრებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური სავალუტო კურსით აღირიცხება კუმულატიური შემოსავლის ანგარიშგებაში. კონვერტაციის საჭიროება წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსით არ ვრცელდება არასაბანკო საგნებზე, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციებზე. ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულებით გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგები აღირიცხება სამართლიანი

გვერდი 22

გვერდების საერთო რაოდენობა 36

მე 13 სტრ.

(ლაიკენი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე აღწერა (გაგრძელება)

ღირებულების ზარალის ან მოგების სახით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოგიდგენთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის დახურულ სავალუტო კურსებს:

აშშ დოლარი/ლარი					
გაცვლითი კურსი	2017 წლის 31	2.5922			
დეკემბრისათვის					
გაცვლითი კურსის	2016 წლის 31	2.6468			
დეკემბრისათვის					

მ. ა. კახიძე

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია მომავალთან დაკავშირებით დაზუსტებულ შეფასებებსა და ანალიზს აკეთებს. შეფასებები და დასკვნები მუდმივად აფასებენ ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რომლებიც, ვითარების გათვალისწინებით, გონივრულად მიიჩნევა. მომავალში, ფაქტობრივმა გამოცდილებამ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და ვარაუდებისაგან. ქვემოთ მოყვანილია შეფასებები და მოსაზრებები, რომლებიც შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მატერიალური კორექტირების მნიშვნელოვანი რისკს ქმნიან.

სესხების გაუფასურების დისკონტი

გაუფასურების შეფასების მიზნით, ორგანიზაცია რეგულარულად აფასებს საკრედიტო პორტფელს. იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად უნდა იყოს შეტანილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემოსავლის ანგარიშგებაში, ორგანიზაცია აფასებს ხელმისაწვდომი მონაცემების არსებობას, რომლებიც მიუთითებენ, რომ სესხების პორტფელის სამომავლო ფულადი ნაკადების არსებითი შემცირებაა მოსალოდნელი, მანამ სანამ ასეთი პროგნოზირება ამ პორტფელის ინდივიდუალური სესხის საფუძველზე იქნება შესაძლებელი. მსგავს მონაცემებში იგულისხმება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსესხებლების გადახდისუნარიანობის მდგომარეობის თვალსაზრისით უარყოფითი ცვლილებებია სახეზე, ან დადგა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობები, რომლებიც ორგანიზაციის აქტივების დეფლაციასთანაა კორელაციაში. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხის ან სესხის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი წარმოიშვა, დანაკარგის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა არსებული ან მისაღები სესხის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის (მათ შორის იგულისხმება, სესხის დისკონტირებული უზრუნველყოფის საგნიდან მისაღები სახსრები და ამჟამინდელი ან მისაღები სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი). სამომავლო ფულადი ნაკადების მოცულობისა და პერიოდულობის შეფასებისას გამოყენებული მეთოდოლოგია და მოსაზრებები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას, რათა შემცირდეს სხვაობა ზარალის დაახლოებით კალკულაციასა და რეალურ მოცულობას შორის.

მოგების გადასახადი

ჩვეულებრივი საქმიანობის დროს, არსებობს მრავალი გარიგება და გათვლები, რომელთათვისაც საბოლოო გადასახადის განსაზღვრა შეუძლებელია. შედეგად, ორგანიზაცია აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს დამატებითი გადასახადებისა და სარგებლის

(...)

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

დაახლოებითი კალკულაციის საფუძველზე. მიუხედავად ორგანიზაციის ვარაუდისა აღნიშნული კალკულაციების სანდოობასთან დაკავშირებით, ამ საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მისი გარკვეული პოზიცია სავარაუდოდ გადაიხდება და შეიცვლება საგადასახადო ორგანოების მიერ მათი განხილვის შედეგად. შედეგად, ორგანიზაცია ამცირებს ამ საკითხთან დაკავშირებულ რისკებს. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საგადასახადო ვალდებულებების ყველა დარიცხვა ადეკვატურია აუდიტისათვის ღია ყველა წლის განმავლობაში, რაც ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულის გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას. ეს შეფასება ეფუძნება შეფასებებსა და მოსაზრებებს და შეიძლება სამომავლო მოვლენებთან დაკავშირებული კომპლექსური გადაწყვეტილებების სერიას მოიცავდეს.

სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით	63,212,223	21,967,090
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით	6,666,015	1,099,624
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით	10,000,000	75,167,504
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით	75,727	(357,628)
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით	63,212,223	22,619,586

სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით
სააღრიცხვო და მისი კომპლექსური დასაბუთება გადუბის მიხედვით

მ.ს. ბ.ს.ს.ს.

5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტების სია შემდეგნაირად გამოიყურება:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში (ხელზე) ლარში	234,562	90,895
ფულადი სახსრები სალაროში (ხელზე) უცხოურ ვალუტაში	44	358,684
ფულადი სახსრები ბანკში ლარში	755,588	73,030
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	130,209	442,076
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი სრულად	1,120,403	964,685

ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტის დისტრიბუცია ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია შენიშვნა N16-ში.

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხების ჰარმონიზაცია შეთანხმებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
შეთანხმების შესაბამისად წარმოშობილი, კლიენტებზე გაცემული სესხები	63,324,925	22,067,950
შეთანხმების შესაბამისად დარიცხული სარგებელი	6,665,615	1,099,634
შეთანხმების შედეგად კლიენტებზე გაცემული სესხები, სრულად	69,990,540	23,167,584
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით განხორციელებული კორექტირება*	(976,787)	(557,628)
კლიენტებზე გაცემული სესხების საერთო ღირებულება	69,013,753	22,609,956

*კორექტირების დეტალები: საკრედიტო სესხის გაცემის თარიღისთვის მომსახურების საკომისიოდან მიღებული შემოსავალი, აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, IAS 39-ის შესაბამისად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და სარგებლიდან მიღებული შემოსავლის დისკონტირების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

ორგანიზაციის პოლიტიკის მიხედვით, კლიენტზე გაცემული ყველა სესხის უზრუნველყოფის საგანს ავტომატურად წარმოადგენს. მენეჯმენტის შეფასებით, სესხის პერიოდის დაწყებისათვის უზრუნველყოფის საგნები სამართლიანი ღირებულება აღემატება შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებას 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კლიენტებზე გაცემული სესხები ვალუტის მიხედვით ჩაშლილია შენიშვნა N16-ში.

გვერდი 26
გვერდების საერთო რაოდენობა 36

მეცხრე

7. გადასახადები

თანხების მოძრაობის საგადასახადო გავლენა პერიოდულ სხვაობაზე აღრიცხული 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით შემდეგნაირად გამოიყურება:

პერიოდული სხვაობა აღრიცხული 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რაც გამოწვეულია:	ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	დაკრედიტებული (დარიცხული) შემოსავლის ანგარიშგებაში	ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	დაკრედიტებული (დარიცხული) შემოსავლის ანგარიშგებაში	ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის
კლიენტებზე გაცემული ინტერესებით	-	83,644	83,644	62,874	146,518
ხმდევნო პერიოდებზე გადასატანი საგადასახადო ხარჯებით	-	113,067	113,067	(113,067)	-
გადავადებული საგადასახადო ტიპი	-	196,711	196,711	(50,193)	146,518

მოგების გადასახადის დანახარჯი წლებისათვის, რომელიც 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულდა, შემდეგნაირად გამოიყურება:

	2017	2016
ამჟამინდელი მოგების გადასახადი	(1,309,186)	-
პერიოდული სხვაობის გავლენა	(50,193)	196,711
მოგების გადასახადი (დანახარჯი)/სარგებელი	(1,359,379)	196,711

მოგების გადასახადის (ხარჯის)/სარგებლის კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთის რეალურთან შედარებით კორექციის შედეგი შემდეგნაირად გამოიყურება:

	2017	2016
მოგება მოგების გადასახადამდე	13,520,624	
შესაბამისი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
მოგების გადასახადის თეორიული (ხარჯი)/სარგებელი	(2,028,094)	259,219
პერმანენტული განსხვავების შედეგი	668,715	(62,508)
მოგების გადასახადის (დანახარჯი)/სარგებელი	(1,359,379)	196,711

გვერდი 27
გვერდების საერთო რაოდენობა 36

მეც 33.05.17

8. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	434,000	226,635
გადასახდელი ხელფასი	34,108	18,384
სხვა	127,085	25,638
სხვა ვალდებულებები, სრულად	595,193	270,657

9. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

					2017 წლის 31 დეკემბერი	
	საპროცენტო განაკვეთი	წარმოშობის თარიღი	ვადის გასვლის თარიღი	ვალუტა	წარმოშობილი ნასესხები სახსრები	დარიცხული საპროცენტო განაკვეთი
ევრო კრედიტ +	24%	03.02.2016	03.02.2019	აშშ დოლარი	46,479,983	11,177,639
შპს w.g.h Georgia Investments	24%	06.03.2017	31.12.2018	აშშ დოლარი	674,678	121,719
შპს Zuk China Stone Works	24%	01.01.2016	31.12.2018	ლარი	11,458	-
ნასესხები სახსრების სრული რაოდენობა					47,166,119	11,299,358

					2016 წლის 31 დეკემბერი	
	საპროცენტო განაკვეთი	წარმოშობის თარიღი	ვადის გასვლის თარიღი	ვალუტა	წარმოშობილი ნასესხები სახსრები	დარიცხული საპროცენტო განაკვეთი
ევრო კრედიტ +	24%	03.02.2016	03.02.2019	აშშ დოლარი	23,502,836	1,272,562
შპს Zuk China Stone Works	24%	01.01.2016	31.12.2018	ლარი	11,458	-
ნასესხები სახსრების სრული რაოდენობა					23,514,294	1,272,562

ნასესხები სახსრები საკრედიტო ხაზის პირობებს შეესაბამება. ხელმოწერილი სესხის ხელშეკრულების თანახმად, პერიოდის მანძილზე დარიცხული სარგებელი ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს უნდა იქნეს გადახდილი.

გვერდი 28
გვერდების საერთო რაოდენობა 36

მედიკონი

10. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

პარტნიორები	წილობრივი მონაწილეობა	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
შპს ZUK CHINA STONEWORKS	75.51%	188,775	188,775
შპს Mody Import & Marketing Ceramics	7.99%	19,975	19,975
იოსებ როივენ გრენიკასი	9.50%	23,750	23,750
ური ზუკი	5.00%	12,500	12,500
ეიალ დუენიასი	2.00%	5,000	5,000
სრული საწესდებო კაპიტალი	100%	250,000	250,000

11. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2017	2016
ჯარიმები და პირგასამტეხლოები	3,389,683	70,907
ადრეული გადახდის საკომისიოს შემოსულობები	243,859	-
სხვა	106,757	333
სრული სხვა შემოსავალი	3,740,299	71,240

12. ფინანსური სერვისები

2016 წლის 15 ივნისს ორგანიზაციასა და შპს ევრო კრედიტ +-ს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების საგანია ორგანიზაციის ოპერაციულ აქტივობებთან დაკავშირებული ფინანსური სერვისების მიწოდება.

შპს ევრო კრედიტ + წარმოადგენს გამოცდილ საწარმოს, რომელიც ორგანიზაციის ტიპის საქმიანობას აწარმოებს, რაც, ძირითადად, გამოიხატება შემდეგში: კლიენტის აპლიკაცია, მომხმარებელთა მონაცემების ანალიზი, რისკების შეფასება, სესხის პირობების განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება სესხის გაცემასთან დაკავშირებით.

ფინანსური სერვისები ასევე გულისხმობს კლიენტებისაგან სახსრების ამოღებას, მათ შორის:

- მსესხებლებთან ყოველდღიური/ყოველთვიური/ყოველწლიური ურთიერთობა კომუნიკაციის სხვადასხვა არხის (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ.) გამოყენებით;
- კლიენტებთან მოლაპარაკებების წარმოება საჭიროების შემთხვევაში სესხის რესტრუქტურისა და ან რეფინანსირების მიზნით;
- ფულადი სახსრების შეგროვება საქართველოს კანონმდებლობისა და სესხის ხელშეკრულების შესაბამისად ვადაგადაცილებული სესხების მიმართ.

ზემოთ ნახსენები სერვისების ფარგლებში შპს ევრო კრედიტ + მოქმედებდა საკუთარი აქტივების, მათ შორის, საოფისე აღჭურვილობისა და შესაბამისი თანამშრომლების გამოყენებით. 2017 წლის 1 იანვარს ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

გვერდი 29

გვერდების საერთო რაოდენობა 36

მ. ა. ჯანაძე

13. გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები

გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2017	2016
აპლიკაციების შემოწმების ხარჯები	(671,501)	(387,271)
ნეგატიური სესხის ამოღების ხარჯი	(685,146)	-
იჯარის გადასახადი	(449,270)	(4,409)
საბანკო ხარჯები	(132,811)	(3,912)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული სერვისები	(102,735)	(12,197)
საწვავი	(93,087)	-
მარკეტინგის ხარჯი	(76,279)	(11,720)
ოფისის ხარჯები	(61,965)	-
კომუნალური გადასახადები	(58,199)	-
IT საკონსულტაციო სერვისი	(51,595)	-
კომუნიკაცია	(28,722)	-
მივლინებები	(23,186)	-
იურიდიული ხარჯები	(16,215)	(3,629)
ეროვნული ბანკისთვის გადახდილი ჯარიმა	(11,000)	-
სხვა	(166,711)	(2,969)
სრული გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,628,422)	(426,107)

14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

	2017	2016
ხელფასი	(2,700,082)	(125,034)
ბონუსი	(275,862)	-
დაზღვევა	(65,948)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	(3,041,892)	(125,034)

15. პირობითი ვალდებულებები

საწესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა

როგორც ზემოთ, შენიშვნა N1-შია ნახსენები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგნაირად უნდა შეივსოს:

- არანაკლებ 500 000 ლარისა - 2018 წლის 1-ელ სექტემბრამდე;
- არანაკლებ 1 000 000 ლარისა - 2019 წლის 1-ელ ივლისამდე

გვერდი 30

გვერდების საერთო რაოდენობა 36

მეცხედ

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

როგორც ფინანსური ინსტიტუტი, ორგანიზაცია დგას იმ რისკების წინაშე, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით წარმოიქმნება. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს ამ რისკების მართვისათვის და მათ შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში. იგულისხმება, რომ ლიკვიდური ან მოკლევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიანი ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით და უმთავრესი პასუხისმგებლობის შენარჩუნებისას, მას ორგანიზაციის ფინანსური ფუნქციების ეფექტური განხორციელების მიზნით, დელეგირებული აქვს უფლებამოსილებათა შემუშავებისა და ოპერაციულ სისტემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.

მენეჯმენტის უმთავრესი მიზანია, განსაზღვროს პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად ამცირებს რისკებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის უნარზე მავნე ზეგავლენის მოხდენის გარეშე. ამ პოლიტიკის დეტალები ქვემოთაა მოცემული. ამ ოპერაციების შედეგად, ორგანიზაცია შემდეგი ტიპის რისკების წინაშე დგას:

- კრედიტთან დაკავშირებული რისკი
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი
- ბაზართან დაკავშირებული რისკი
 - გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი
 - საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი

კრედიტთან დაკავშირებული რისკი

კრედიტთან დაკავშირებული რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარემ შეიძლება მეორე მხარეს მიაყენოს ფინანსური ზიანი ვალდებულების ვერშესრულების შედეგად. კრედიტთან დაკავშირებული რისკი წარმოიშობა სესხების გაცემისა და სხვა ტრანზაქციების შედეგად, რომლებშიც მეორე მხარეები ფინანსური აქტივის მიღების საფუძველს ქმნიან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალური რისკის წინაშე არიან. საანგარიშო თარიღებისათვის კრედიტთან დაკავშირებული რისკის წინაშე შემდეგი აქტივები იდგნენ:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
წესილი აქტივები და მათი ექვივალენტი	885,797	515,106
კლიენტებზე გაცემული სესხები	69,013,753	22,609,956
რისკის წინაშე მდგარი აქტივები, სრულად	69,899,550	23,125,062

მ. ბ. ს. რ.

(ლარებში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი

ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკში იგულისხმება საკმარისი სახსრების ხელმისაწვდომობა სესხის დაბრუნებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომისას. მათი შესრულება უნდა განხორციელდეს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით.

ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკის მართვის მიზნით, ორგანიზაცია სამომავლო მოსალოდნელი ფულადის სახსრების მუდმივ მონიტორინგს აწარმოებს, რაც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია განხილული. მონაცემები ასახავს ორგანიზაციის უმთავრესი მმართველობითი ფუნქციების მქონე თანამშრომლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისათვის ყველა ფინანსური ვალდებულების ვადა 1 წლამდეა.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის სტატუსი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე ვადით	1 წლიდან 3 წლამდე	საერთო
ნასესხები სახსრები	-	24,786,856	24,786,856
ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელსაც სარგებელი ერიცხება	-	24,786,856	24,786,856
სხვა ვალდებულებები	270,657	-	270,657
ყველა ფინანსური ვალდებულება	270,657	24,786,856	25,057,513

ბაზართან დაკავშირებული რისკები

ბაზართან დაკავშირებული რისკები განიმარტება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირების საფრთხე, რაც საბაზრო ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული. საბაზრო რისკი წარმოიშობა ორგანიზაციის მიერ იმ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად, რომელთან სარგებელი ერიცხება ან უცხოურ ვალუტაშია წარმოდგენილი. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობა განიცდის მერყეობას გაცვლითი კურსის (გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი) ან საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი) გამო.

• გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი

გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი განიმარტება როგორც რისკის სახეობა, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსით გამოწვეულ ფლუქტუაციას უკავშირდება. ორგანიზაცია ამ ფლუქტუაციის შედეგების ზეგავლენას განიცდის, რადგან უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი გავლენას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

გვერდი 32

გვერდების საერთო რაოდენობა 36

მეც. ცნ. სტ.

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ორგანიზაციის წინაშე მდგარი გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგ ცხრილშია წარმოდგენილი:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი	990,150	130,253
კლიენტებზე გაცემული სესხები	62,503,009	6,510,744
ფინანსური აქტივები, სრულად	63,493,159	6,640,997
ფინანსური ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	595,193	-
ნასესხები სახსრები	11,458	58,454,019
ფინანსური ვალდებულებები, სრულად	606,651	58,454,019
ღია ბალანსის მდგომარეობა	62,886,508	(51,813,022)

ორგანიზაციის წინაშე მდგარი გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგ ცხრილშია წარმოდგენილი:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი	163,993	800,692
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,752,783	18,857,173
ფინანსური აქტივები, სრულად	3,916,776	19,657,865
ფინანსური ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	270,657	-
ნასესხები სახსრები	11,458	24,775,398
ფინანსური ვალდებულებები, სრულად	282,115	24,775,398
ღია ბალანსის მდგომარეობა	3,634,661	(5,117,533)

შემდგომი ცხრილი ასახავს ორგანიზაციის სენსიტიურობას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის 20%-ით მატების ან შემცირების შემთხვევაში ლართან მიმართებაში და წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სავარაუდო ცვლილების გავლენის

გვერდი 33
გვერდების საერთო რაოდენობა 36

თაი ცხელი

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ანალიზის შედეგს. სენსიტიურობის ანალიზი გულისხმობს მხოლოდ ვადაგადაცილებული, უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად სახსრებს და მათ კონვერტაციას წლის ბოლოსთვის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის 20%-იანი ცვლილების მიმართ აკორექტირებს. კუმულატიური შემოსავლისა და კაპიტალის ანგარიშგებაზე ამ კორექტირების გავლენა 2017 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით, შემდეგია:

		(ლარი/აშშ დოლარი)	
სენსიტიურობა	საბაზრო	2017	2016
გაცვლითი	კურსის		
ფლუქტუაციისადმი			
20%-იანი მატება		(10,362,604)	(1,023,507)
20%-იანი შემცირება		10,362,604	1,023,507

• საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი

საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი საპროცენტო განაკვეთის საბაზრო ცვლილებებითაა გამოწვეული, რამაც ორგანიზაციის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს. ამგვარი რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადახდის ვადის დადგომის არასწორი გაანგარიშებით, ასევე ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახალ შეფასებასთან დაკავშირებული თავისებურებებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებულ რისკებს აჯამებს ორგანიზაციისათვის. ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთაც სარგებელი ერიცხებათ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	2016
ფინანსური აქტივები, რომელთაც სარგებელი ერიცხება	69,013,753	22,609,956
ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც სარგებელი ერიცხება	58,465,477	24,786,856
სარგებლის მიმართ სენსიტიურობის განსხვავება, ნეტო	10,548,276	(2,176,900)

კომპანიის იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთაც სარგებელი ერიცხებათ განსაზღვრულია მყარი საპროცენტო განაკვეთი. შესაბამისად, კომპანიის შემოსავალს და ხარჯებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ფლუქტუაცია გავლენას არ ახდენს.

გვერდი 34
გვერდების საერთო რაოდენობა 36

მეც მენა

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნებისას ორგანიზაციის მიზნებია:

- ორგანიზაციის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს შესაძლებლობის დაცვა, რათა მან შესაბამისი საქმიანობის გაგრძელება შეძლოს;
- სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება;
- პარტნიორებისათვის ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფა.

ორგანიზაცია გამოყოფს რისკის პროპორციული კაპიტალის რაოდენობას. ორგანიზაცია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივებთან დაკავშირებული რისკების თავისებურებების გათვალისწინებით.

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

IAS 24-ის - „ინფორმაციის გამჟღავნება დაკავშირებული მხარეებისათვის“ თანახმად, დაკავშირებული მხარე ან ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, შუამავლების მეშვეობით: აკონტროლებენ ორგანიზაციას, ან კონტროლდებიან მის მიერ ან არიან ორგანიზაციასთან საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს მშობელ კომპანიას, შვილობილ ან დობილ კომპანიას); აქვს ინტერესი ორგანიზაციის მიმართ, რაც მას ორგანიზაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ანიჭებს ან აქვს საერთო კონტროლი ორგანიზაციაზე;

ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი კომპანიის უმნიშვნელოვანესი მმართველობითი ფუნქციების მქონე თანამშრომლები;

გ) ა) ან ბ) პუნქტებში მითითებული პირების ოჯახის წევრები;

დ) მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოებს, რომლებიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ კონტროლდებიან ინდივიდუალურად ან კოლექტიურად გ) ან ბ) პუნქტებში მითითებული პირების მიერ, არიან ამ პირების მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ, ან ამ პირებს აქვთ შესაბამისი მხარეებთან მიმართებაში ხმის მნიშვნელოვანი უფლება.

თითოეული პოტენციური დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება მახვილდება ამგვარი ურთიერთობის არსზე და არამხოლოდ მის სამართლებრივ ფორმაზე. ორგანიზაციასა და სხვა დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციების დეტალები ქვევით მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

დაკავშირებული მხარეების ბალანსი და ტრანზაქცია 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

ფინანსური მდგომარეობის ჩანაწერი	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმო
ნასესხები სახსრები	58,465,477
სხვა ვალდებულებები	434,000
სარგებელთან დაკავშირებული ხარჯები	(9,684,411)
ფინანსური სერვისები	(5,190,656)

ბიუჯეტი

(ლაიკის)

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეების ბალანსი და ტრანზაქცია 2016 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

ფინანსური მდგომარეობის ჩანაწერი	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმო
ნასესხები სახსრები	24,786,856
სარგებელთან დაკავშირებული ხარჯები	(1,106,433)
ფინანსური სერვისები	(3,781,313)

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ცვლილება წილის პროპორციაში: შპს Mody Import & Marketing Ceramics-ის მეპატრონემ მისი კუთვნილი წილი 7,99%-ის ოდენობით გადასცა შპს შპს D. Mody Properties-ს. იოსებ როივენ გრენიკასმა, რომელსაც 9,5%-ის ოდენობის წილი ჰქონდა კომპანიაში 3% გადასცა ორდენ დუნიასს.

საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 12 ივნისისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

პარტნიორები	წილი	2018 წლის 12 ივნისისათვის
შპს ZUK CHINA STONEWORKS LIMITED	75,51%	188,775
შპს D. Mody Properties LTD	7,99%	19,975
იოსებ როივენ გრენიკასი	6,50%	16,250
ური ზუკი	5,00%	12,500
ეიალ დუნიასი	2,00%	5,000
ორენ დუნიასი	3,00%	7,500
სრული საწესდებო კაპიტალი	100%	250,000

გვერდი 36

გვერდების საერთო რაოდენობა 36

იოსებ როივენ გრენიკა

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181434506



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

22.11.2018 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

თეა კიკუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქალაქი თბილისი, ლესელიძის ქ. #17

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

593235532, 2 93 30 83

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

59985186318618



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდამეორე ნომბერს მე, ნოტარიუსი **თეა კიკუაშვილი**, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17, ვადასტურებ მთარგმნელის **შაკა კვანტალიანის** (დაბ. 10.09.1989წ., მცხოვრები ქ. თბილისი, კოტე აფხაზის I ჩიხი N 4, პირადი №01011066963) **ხელმოწერის ნამდვილობას**. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხარისხის სერტიფიკატი, გაცემული 2011წ. გოთლანდის უნივერსიტეტის მიერ № 890910-T043; სერტიფიკატი გაცემული საერთაშორისო სახლი - მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, გაც. 20.10.03) მე, ნოტარიუსმა გაგაფრთხილე მთარგმნელი, რომ იგი პასუხს ატებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარგმანის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ ჯეროვნად იცის ქართული და ინგლისური ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

22.11.2018 I, Notary Public **Tea Kikuashvili**, the notary office located at the address: 17 Leselidze St. Tbilisi, certify that the signature of the translator **Maka Kvantaliani** (date of birth: 10.09.1989, residing at the address: 8 Bzipi St. Tbilisi, personal ID: 01011066963, ID card #: B0888397, issued on: 01.03.2006 by Isani service of Civil Registry Agency) is genuine. The translator presented the diploma #:890910-T043 issued by the Gotland University in 2011; Certificate of International House Tbilisi, issued on 20.10.03). I, Notary Public have warned the translator, that she was responsible for an accurate translation. The translator confirmed that she duly knew Georgian and English languages and ensured the exactness of the translation.

გადახდილია 72.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 12.96 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. ერთი ეგზემპლარისთვის
Fee paid 72.00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about

the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also 12.96 according to Article 169th of Georgian Tax Code (including VAT), also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუსი

Notary Public

/ თეა კიკუაშვილი

/ Tea Kikuashvili



